პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 18 აგვისტო 2004 №190 (2211) ფასი 50 თეთრი



REUTERS

# ზვიადაურო, ჯარჯი ხარ, გილოცავთ, მაგრამ დარდიც ხარ

ATHNA 2004

აი, ამ ბერძნული ზეთისხილის გვირგვინით თავდაბურულ და საბერძნეთის ჰიმნზე გულატოკებულ ჯეელს ახლა ილიას ილიადისი ჰქვია, 22 წლისაა და მის პატივსაცემად საბერძნეთის დროშას ალბათ კიდევ ბევრჯერ აღმართავენ ოლიმპიადაზე, მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონატზე...

ოდესღაც ის ქართველი იყო ნამდვილი ქართული გვარ-სახელით — ჯარჯი ზვიადაური. გუშინ მან ახალ სამშობლოს ოლიმპიური ოქრო და სიამაყე აჩუქა. სამწუხაროდ, ის ერთადერთი ქართველი არაა, ვინც საბერძნეთის სახელით ჭიდაობს — ყველას ჩამოთვლა გულს შეგვილონებს. საინტერესოა, ამ ბიჭის დანახვაზე ის ხალხი რას გაიფიქრებს, ვინც ჩვენი რჩეული ჯეელები საბერძნეთს, თურქეთს, რუსეთს აჩუქა? თქვენ რას ფიქრობთ, ხალხო?

...ჯარჯი ზვიადაურის წონაში ჩვენი გრიგოლ მამრიკიშვილი პირველივე შეხვედრის შემდეგ დაემშვიდობა ოლიმპიადას...

გუშინ მაინც გვერგო ერთი გამარჯვება — მსუბუქწონოსანმა მოკრივემ ნიკა იზორიამ პირველ წრეში ტუნისელი ვალიდ შერიფი დაამარცხა.



REUTERS

ნიკა იზორიამ (მარჯვნივ) ტუნისელი შერიფი ჩამოაქვეითა

კობა ინასარიძე

კიშინიოვიდან



# რეპეტიცია სეპარაციაში

## ქირესი ნაკრებს სქემას შეცვლის

სასიამოვნოა ძველ მეგობრებთან შეხვედრა – აი, სიტყვები, რომლითაც მოლდოველები ქართველებს დაგვხვდნენ, სწორედ ქართველებს და არა საქართველოს დელეგაციას. დელეგაციის თითქმის ყველა წევრს ხომ აეროპორტში ძველი ნაცნობი შეეგება და დიდი სალამი-ქალამიც გაიმართა.

თბილისიდან ხუთ საათზე გამოფრენილი საქართველოს ეროვნული გუნდი კიშინიოვის აეროპორტში ორ საათში დაეშვა და მცირე საპასპორტო ფორმალობების მოგვარებისა და მეგობრების მონახულების შემდეგ ქალაქის ცენტრისკენ, სასტუმრო „ნაციონალისკენ" დაიძრა. ქართველებთან ერთად კიშინიოვში ჩამოვიდა ჩვენი ფრანგი კოლეგაც, ყველაზე პოპულარული ფრანგული გაზეთის „ეკიპის" კორესპონდენტიც, რომელიც ალენ ჟირესის „ხათრით" საქართველოს ნაკრებზე პუბლიცისტური წერილების გამოქვეყნებას იწყებს და მისი საქმეც მოლდოვიდან იწყება. ფრანგს ქართველებთან ერთად თურქეთში სტუმრობაც აქვს დაგეგმილი. თბილისიდან კიშინიოვის გზაზე კი ფრანგები გვერდი-გვერდ ისხდნენ და ჟირესიც ჟურნალისტისადმი ისეთი ყურადღებიანი იყო, არც ზოგიერთ ქართველ მწვრთნელს აწყენდა უცხოეთში შეხვედრილ თვისტომ მედიელთან მსგავსი ურთიერთობა.



# ATHENS 2004

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004 ATHENS 2004

## 17 აგვისტო

ოქრო-ვერცხლი-ბრინჯაო

### ცურვა

**კაცები**

**200 მ. ბატერფლაი**

1 მაიკლ ფელპსი (აშშ) 1. 54,04 წთ
2 ტაკაში იამამოტო (იაპონია) 1. 54,56
3 სტივენ პერი (დიდი ბრიტანეთი) 1. 55,52

**4x200 მ. თავისუფალი**

1 აშშ
2 ავსტრალია
3 იტალია

**ქალები**

**200 მ. თავისუფალი**

1 კამელია პოტეცი (რუმინეთი) 1. 58,03 წთ
2 ფედერიკა პელეგრინი (იტალია) 1. 58,22
3 სოლენ ფიგე (საფრანგეთი) 1. 58,45

**200 მ. კომპლექსური**

1 იანა კლოჩკოვა (უკრაინა) 2. 11,14 წთ
2 ამანდა ბერდი (აშშ) 2. 11,70
3 კირსტი ქოვენთრი (ზიმბაბვე) 2. 12,72

### ძიუდო

**კაცები**

**81 კგ**

1 ილიას ილიადისი (საბერძნეთი)
2 რომან გონტიუკი (უკრაინა)
3 ფლავიო კანტა (ბრაზილია)
3 დიმიტრი ნოსოვი (რუსეთი)

**ქალები**

**63 კგ**

1 აიუმი ტანიმოტო (იაპონია)
2 კლაუდია ჰეილი (ავსტრია)
3 დრინულის გონსალესი (კუბა)
3 ურსკა ზოლნირი (სლოვენია)

### ტანვარჯიში

**ქალები**

**გუნდური**

1 რუმინეთი
2 აშშ
3 რუსეთი

### სროლა

**კაცები**

**50 მ. მცირეკალიბრიანი პისტოლეტი**

1 მიხაილ ნესტრუევი (რუსეთი)
2 იონ ონ-ო (ს. კორეა)
3 კიმ იონ სუ (ჩრდ. კორეა)

**ორმაგი სროლა სასანგრე სტენდზე**

1 ახმედ ალ-მაკტუმი (საამიროები)
2 რაჯავადჰან რატორი (ინდოეთი)
3 ჩენ ვანი (ჩინეთი)

### ფარიკაობა

**ქალები**

**ხმალი. ინდივიდუალური**

1 მერილ ზაგუნისი (აშშ)
2 ტან სიუი (ჩინეთი)
3 სადა იაკობსონი (აშშ)

**კაცები**

**დაშნა. ინდივიდუალური**

1 მარსელ ფიშერი (შვეიცარია)
2 ვან ლი (ჩინეთი)
3 პაველ კოლობკოვი (რუსეთი)



REUTERS

გუშინ მაიკლ ფელპსი ორი ოქროთი გამდიდრდა



REUTERS

საამიროელმა ახმედ ალ-მაკტუმმა ოქროს მოარტყა

### მედლების დაფა

| | | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩინეთი | 10 | 6 | 2 | 18 |
| 2 | აშშ | 6 | 7 | 6 | 19 |
| 3 | ავსტრალია | 6 | 3 | 5 | 14 |
| 4 | იაპონია | 6 | 2 | 1 | 9 |
| 5 | უკრაინა | 3 | 1 | 1 | 5 |
| 6 | რუსეთი | 2 | 5 | 5 | 12 |
| 7 | იტალია | 2 | 3 | 2 | 7 |
| 8 | საფრანგეთი | 2 | 2 | 4 | 8 |
| 9 | რუმინეთი | 2 | 0 | 1 | 3 |
| 9 | საბერძნეთი | 2 | 0 | 1 | 3 |
| 9 | თურქეთი | 2 | 0 | 1 | 3 |
| 12 | გერმანია | 1 | 2 | 1 | 4 |
| 13 | ს. კორეა | 1 | 1 | 2 | 4 |
| 14 | უნგრეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 15 | ტაილანდი | 1 | 0 | 2 | 3 |
| 16 | სამხრეთ აფრიკა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 17 | საამიროები | 1 | 0 | 0 | 1 |
| 17 | შვეიცარია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 18 | ჰოლანდია | 0 | 2 | 3 | 5 |
| 19 | ჩრდ. კორეა | 0 | 2 | 1 | 3 |
| 20 | პოლონეთი | 0 | 2 | 0 | 2 |
| 20 | ავსტრია | 0 | 2 | 0 | 2 |
| 22 | დიდი ბრიტანეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 22 | სლოვაკეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 22 | ზიმბაბვე | 0 | 1 | 1 | 2 |
| 25 | საქართველო | 0 | 1 | 0 | 1 |
| 25 | ესპანეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 25 | პორტუგალია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 25 | ინდონეზია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 25 | სერბეთ-ჩერნოგორია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 25 | ინდოეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 31 | კუბა | 0 | 0 | 4 | 4 |
| 32 | ბელგია | 0 | 0 | 2 | 2 |
| 32 | ბრაზილია | 0 | 0 | 2 | 2 |
| 32 | ბულგარეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| 33 | კანადა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 33 | არგენტინა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 33 | კოლუმბია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 33 | ჩეხეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 33 | მონღოლეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 33 | სლოვენია | 0 | 0 | 1 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზვიადაურის ოქრო ბერძნულ ყულაბაში



REUTERS ათინიდან

ჯარჯი ზვიადაური ილიას ილიადისის სახელით საბერძნეთისთვის იხვეჭს ოქროს

გრიგოლ მამრიკიშვილი პირველი ქართველი ძიუდოისტი გამოდგა, ათენური ტატამი მოუგებლად რომ დატოვა. პირველივე წრეში სიდნეის პრიზიორ და ევროპის ჩემპიონ ესტონელ ალექსეი ბუდოლინთან ჩატარებული შეხვედრა მისთვის პირველი და უკანასკნელი გამოდგა.

ბრძოლა თანაბრად წარიმართა, ბოლო წამებამდე ფრე იყო, მაგრამ მოულოდნელად ქართველს ესტონელის ილეთი გამოეპარა და რეპეშაჟის იმედზეღა დარჩა, თუმც საამისოდ ბუდოლინის ერთი გამარჯვება იყო საჭირო. ესტონელმა კი მომდევნო შეხვედრა წააგო და მამრიკიშვილმა ბრინჯაოს შანსიც დაკარგა.

ქართველებს საგულშემატკივრო საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ილიას ილიადისი, ჩვენებურად კი ჯარჯი ზვიადაურიღა დაგვრჩა. მან ტრიბუნების მხურვალე მხარდაჭერით ერთმანეთზე მიაწყო ავსტრიელი მორგან ენდიკოტ-დევისი, არგენტინელი არიელ სგანგა, კორეელი იუნ ვო-კვონი, რუსი დიმიტრი ნოსოვი და ფინალში გავიდა.

მეორე ბადიდან ფინალში გასვლის უმთავრეს პრეტენდენტად მსოფლიოს ჩემპიონი, გერმანელი ფლორიან ვანერი მიიჩნეოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მხოლოდ ორი მოგება იკმარა, მერე კი ძიუდოს ქართველი ქომაგისთვის ნაცნობმა უკრაინელმა რომან გონტიუკმა შებოჭა. წლეულს თბილისის ტურნირის ფინალში მამრიკიშვილისგან წმინდად დამარცხებული გონტიუკი ათენში ფინალამდე იპონით გაუსწორდა ყველა მეტოქეს.

ქართულ-ბერძნულ-უკრაინული ფინალი კი სამ წუთში უკრაინელის მარცხით და ბერძენთა ოქროს მედლით დასრულდა, ქართველებს კი ოლიმპიური ჩემპიონობა ჯერაც აუხდენელ ოცნებად გვრჩება.

**ოთარ მაღლაკელიძე**





REUTERS ათინიდან

ესტონელმა ბუდოლინმა მამრიკიშვილს ოცნება წაართვა

# ჩვენები და ჩვენი მამლუქები

## ქართული ძიუდო მარტო ჩვენი აღარაა

ავთანდილ გურასაშვილი

ათენიდან



საბჭოთა კავშირის დაშლით და ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენით თუ ვინმე ხეირობს, პირველ რიგში რუსეთი, მერე კი საბერძნეთი. რუსეთი კიდევ ჯანდაბას, დაუჩემებია, საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე ვარ და მისი დანატოვარი უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის უცხოეთშიც, ჩემიაო. მაგრამ ამ ბერძნებისა კი ველარაფერი გამიგია. თავად რომ რიგიანი სპორტსმენები კანტი-კუნტად გაუზრდიათ, ამდგარან და მათ შესავსებად სხვა ქვეყნებს მისდგომიან, მათ შორის კი ნამდვილ მეწველ ძროხასავით საქართველო ჰყავთ გამოჭერილი — დასტა-დასტად თუ ბითუმად იბირებენ ჩვენებურებს. ოჯახაშენებულებმა „თავის დროზე" ოქროს საწმისი და ზედ მედეა რომ წაგვგვარეს, ეს არ გვეყო და მერე აღარც მსოფლიოს კაშკაშა ვარსკვლავი კახი კახიაშვილი იკმარეს, ადგნენ და სხვებიც ბლომად წაასხეს. ახლა რაკი აქაურ ტატამს ვარ მიჯაჭვული და სხვაგან გახედვა ვერ მომიხერხებია, ერთ-ორ სიტყვას ჩვენს ძიუდოისტთა ბერძნულ ექსპორტზე ვიტყვი.

ძიუდოისტთა ტურნირის დაწყებამდე ჩვენი გუნდის თავკაცი შოთა ხაბარელი თავს იწონებდა, ევროპიდან ოლიმპიური ლიცენზიების სრული კომპლექტი მხოლოდ ჩვენ, ფრანგებმა და რუსებმა მოვიპოვეთო. ხაბარელმა, ეტყობა, საბერძნეთი არ მიიღო მხედველობაში, რადგან მის რიგებში სულ საქართველოში დაბადებული და ძიუდოს აქ ნაზიარები სპორტსმენები არიან. რაკი თითქმის ყოველ მათგანს იქაური გვარი შეურჩევია, მეც იმავე გვარებით ჩამოვთვლი, რომლებითაც ისინი ოფიციალურად მოიხსენიებიან. ესენი არიან: რევაზ ციდირიდისი (60კგ), გეორგიოს ვაზაგკაშვილი (66), ლავრენტის ალექსანიდისი (73), ილიას ილიადისი (81), დიონისის ილიადისი (81) და ვასილიოს ილიადისი (100).

მათ შორის ყველაზე ცნობილი და გამოცდილი გიორგი ვაზაგაშვილია, რომელმაც სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში ბრინჯაოს მედლით გაგვახარა, მანამდე კი იყო მსოფლიოს ჩემპიონატების სამგზის პრიზიორი, ევროპის სამგზის ჩემპიონი...

30 წლის ვაზაგაშვილი ბერძნული ძიუდოს ქართული კრებულის უხუცესი წევრიცაა, დანარჩენი ყოფილი ჩვენებურები კი ხუთიათი წლით უმცროსები არიან. ამდენად, ისინი თავიანთი ძალის, ოსტატობისა და გამოცდილების ზენიტში პეკინის ოლიმპიადაზე იქნებიან.

ბერძენ ძიუდოისტთა რიგებში ერთადერთი ნამდვილი ბერძენია — ბაყბაყდევივით ქარალამპოს პაპაიოანუ, ვინც 100 კილოგრამზე მძიმე ძიუდოისტთა განაცხადშია.

ერთი სიტყვით, ათენის ოლიმპიადაზე ქართველთა ორი გუნდი გამოდის. თითო-ოროლა ყოფილი ჩვენებური სხვებსაც ჰყავთ, თუმცა ჩვენიანისა და ექსჩვენიანის გზები უშუალოდ ტატამზე პირველად 73კგ წონით კატეგორიაში გადაიკვეთა, როცა ქევხიშვილი დამამშვიდებელ ტურნირში გადაერთო. სწორედ მაშინ გადაეყარა დავითი ალექსანიდისს. პირველ სამ წონაში ქართველებად დარჩენილებმა იმძლავრეს და იმედია, ეს შეფარდება ოლიმპიადაზე ძიუდოს ჩამთავრების შემდეგაც საქართველოს სასარგებლო იქნება.



გიორგი ვაზაგაშვილი ყველაზე ცნობილი მამლუქია ბერძნულ ძიუდოში



ავთანდილ გურასაშვილი ათინიდან

# ხაბარელი ქართველ ქართველებზე

60 კილოგრამში ნესტორ ხერგიანმა ფინალამდე ყველა ბრძოლა დამაჯერებლად მოიგო, მეტოქეებმა კოკაც კი ვერ ართვეს. მე ნესტორის ვერცხლმა ძალიან გამახარა. რომ არა მსაჯების მიკერძოება, იქნებ მეორე მედალიც გვქონოდა. 66 კილოგრამში ბულგარელ გეორგიევს დავით მარგოშვილთან იუკოს ნაცვლად იპონი მისცეს. მარგოშვილს ამის მერე ორი ძნელი ბრძოლა ჰქონდა და მესამესთვის ველარ განეწყო, მაგრამ მისთვის არც მეხუთე ადგილია ცუდი, ისე, როგორც მომდევნო წონაში ქევხიშვილის მიერ დაკავებული მეშვიდე ადგილი. ორივე ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და თავიანთ სიტყვას პეკინში იტყვიან. ქევხიშვილი იაპონელი რომ ყოფილიყო ან პატრონი ჰყოლოდა, ბრაზილიელ ლეანდრო გილეიროსთან იმ ორ გდებას ჩაუთვლიდნენ და ბრინჯაოსთვისაც იბრძოლებდა.

## კრივი



REUTERS ათენიდან

ნიკა იზორიამ (მარცხნივ) პირველი მეტოქის მუშტებს იოლად გაუძლო

# ნიკა იზორიამ შერიფი გააარიფა

ძიუდოისტთა სამდღიანი უმეძლო სერიის მერე, ქართველებს 51-კილოგრამიანმა მოკრივემ ნიკოლოზ იზორიამ მოგვფხანა გული. ჭაბუკმა ფოთელმა გუშინ ათენურ „პერისტენ რინგზე" დგუშივით ამუშავა მუშტები და მერვედფინალში დაიგულა თავი. იზორიას მეტოქე ტუნისელი ვალიდ შერიფი გახლდათ, რომელსაც გამოცდილება არა და ტიტულები კი აკლია. ქართველმა 24:14 იმარჯვა.

ნიკა პირველივე რაუნდში 7:3 დაწინაურდა. მართალია, შემდეგ ორ რაუნდში შორს ვერ გაიჭრა, მაგრამ არც შერიფი გაუთამამებია. ბოლო ორწუთეულში ტუნისელი გააქტიურდა, იზორიას დაღლა დაეტყო და უხერხულადაც დაუცდა ფეხი, თუმც რამდენიმეწამიანმა შესვენებამ ჩვენებურს ძალიან არგო და ყველაზე შთამბეჭდავადაც (8:3) ეს რაუნდი მოიგო. ბრძოლის დასრულებისთანავე ხელებაწეულმა აფრიკელმა ხალისიანად შეიკუნტრუშა. წაგებაზე თუ ასეთი რიტუალი მოაწყო, მოგებაზე ალბათ რინგს გადააფრინდებოდა...

მერვედფინალში იზორია აზერბაიჯანელ ფუად ასლანოვს მოულერებს მუშტს, რომელმაც მადაგასკარელ რაკოტიარიმბელოს აჯობა. ქართულ-აზერბაიჯანული მუშტიკრივი 21 აგვისტოს 15 საათსა და 45 წუთზე გაიმართება. მოგების შემთხვევაში ნიკას მეოთხედფინალში, სავარაუდოდ, ფრანგი ჟერომ ტომასი დაუხვდება.

**ილია ნანობაშვილი**

## ჩოგბურთი

# ჩოგანზემკიდიათა საფინს წაგებაც მოეფონა

16 აგვისტო

ათენურ მაგარსაფარზე მეორე დღესვე გაირკვა ის ამბავი, რომ სიდნეური თამაშების ორგზის მეოქროვე ვინუს უილიამსი წლეულს ერთი მათგანის დაცვას უკვე ველარ შეძლებს. თვისტომ ჩანდა რუბინთან შეწყვილებული უფროსი უილიამსდა საწყვილოსნო ტურნირის პირველი წრიდან ჩინელებმა — ლი ტინმა და სუნ ტიან ტიანმა გააბუნძულეს — 5:7, 6:1, 3:6. ნამატჩევს ვინუსი აღიარებდა, რომ ეს მოულოდნელი მარცხი მისი და ჩანდას შეუთამაშებლობამ განაპირობა. ჩვენ ხომ დღეს პირველად ვიწყვილავეთო, ამბობდა ის. ცუგრუმელა ჩინელები კი სიხარულისგან ყირაზე გადადიოდნენ: ეს ჩვენი საუკეთესო მოგებაა და ძალიან ბედნიერები ვართ, მერე რა, თუ ისინი მხოლოდ სანახევროდ იყვნენ ჩემპიონები და სერენას ნაცვლად ჩანდა თამაშობდაო.

სხვაფრივ — ძალიან გაუჭირდა რუსი ნიკოლაი დავიდენკოს ძლევა და ამ საქმეს მთელი სამი სეტი მოანდომა ამქრის უპირობო პირველოსანმა, სამგზის მესლემტიტულე როჯერ ფედერერმა. მან 6:3, 5:7, 6:1 მოიგო, თუმცა შეეძლო, ყველაფერი უკვე მეორე სეტშივე მოემთავრებინა, როცა 5:4-ზე მოსაგებად აწვდიდა. ამ მომენტში შვეიცარიელმა მატჩის სადავეები დაკარგა და დაკარგულ გეიმს მერე სეტიც მიაყოლა. იმავე სეტის დასაწყისში კი ერთი ისეთიც მიჰქარა, კარგა ხანი რომ მისგან არავის უნახავს. სახელდობრ, 0:3 ჩამორჩენილმა ნერვები ველარ მოთოკა და ბურთს ისე გამეტებით სთხლიშა, მსაჯს გაფრთხილებაც დასტყუა. თუმცა მესამე სეტში შეხვედრა კვლავ სასურველ კალაპოტში ჩააბრუნა და მეორე წრისკენ გაივაკა. გაფრთხილება ბოლოს როდის მივიღე, აღარ მახსოვსო, ამბობდა მერე. ისე კი, თავისი ჩიქორთული გარჯის მიუხედავად, ჯამში მაინც კმაყოფილობდა — მთავარია, რომ გავიმარჯვეო.

17 აგვისტო

### მეორე წრე

### კაცები

**მარდი ფიში (აშშ)** — ხუან კარლოს ფერერო (5, ესპანეთი) 4:6, 7:6 (7:5), 6:4; **სებასტიან გროჟანი** (8, საფრანგეთი) — უეინ ართურსი (ავსტრალია) 7:6 (7:2), 6:3; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — მარატ საფინი (9, რუსეთი) 7:6 (7:4), 6:3; **ნიკოლას კიფერი** (14, გერმანია) — მარკო ბაგდატისი (კვიპროსი) 6:2, 3:6, 6:3; **ფერნანდო გონსალესი** (16, ჩილე) — ლი ჰიუნგტაიკი (სამხრეთ კორეა) 7:5, 6:2; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — აგუსტინ კალიერი (არგენტინა) კალიერიმ ვერ ითამაშა; **ტეილორ დენტი** (აშშ) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 7:6 (7:4), 6:3; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:3, 6:4; **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 7:6 (7:4), 4:6, 6:4; **ტომას ბერდიჩი** (ჩეხეთი) — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) 4:6, 7:5, 7:5

### ქალები

**ჟუსტინ ენენ-არდენი** (1, ბელგია) — მარია ვენტო-კაბჩი (ვენესუელა) 6:2, 6:1; **ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — მაია მატევჟიჩი (სლოვენია) 6:0, 6:0; **ანასტასია მისკინა** (3, რუსეთი) — კრისტინა ბრანდი (პუერტო რიკო) 6:2, 3:6, 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა** (5, რუსეთი) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 7:6 (7:5), 6:2; **აი სუგიამა** (8, იაპონია) — ტატიანა პერებინისი (უკრაინა) 7:5, 6:4; **პატი შნიდერი** (10, შვეიცარია) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) 3:6, 6:1, 6:4; **ფრანჩესკა სკიავონე** (11, იტალია) — ჩო იოონ-ძეონგი (სამხრეთ კორეა) 2:6, 7:6 (7:0), 6:4; **კაროლინა სპრემი** (12, ხორვატია) — ანჟელიკ ვიჯაჯა (ინდონეზია) 6:3, 6:1

თითქოს 12 კვირა კორტის მიღმა მავანი ვირუსის გამო წამლიყლაპიობაში არ გაეტარებინოს, ქალთა ამქრის ჭინკა ჟუსტინ ენენ-არდენი ათენში ისე უბერავს, მტრისას და ვინუსისას! მეორე წრეში მან ვენესუელელი მარია ვენტო-კაბჩი გამოიჭირა და მის გვემას საათზე მხოლოდ ოთხი წუთით მეტი მოანდომა. ნამატჩევს ჟუსტინი ყურებამდე პირგახეულობდა და — ახლა თავს აბსოლუტურად ჯანმრთელად ვგრძნობო — ამბობდა.

აი, კაცთა მხარეზე კი ერთბაშად ორი სახელიანი მეჩოგნე დაიჩოგნა. ტრავმიანობის გამო ბოლო დროს ჩაქვეითებულმა მარატ საფინმა და ხუან კარლოს ფერერომ სატიტულო იმედები მეტისმეტად ადრე დააშალითეს. პირველს ამის გაკეთებაში ახალგაზრდა ესპანელი ფელისიანო ლოპესი „დაეხმარა", მეორემ კი ამერიკელ მარდი ფიშთან სამსეტიანი დაძაბული პაექრობის შედეგად დათმო. კოლობიჭი ნამატჩევს ორმაგ შეცდომებს მისტიროდა, საფინი კი, როგორც მის ჩოგანზემკიდია ბუნებას შეეფერება, არც ისე გულდაწყვეტილი იყო — ოლიმპიადას სულ სხვა მუღამი აქვს და ისედაც კარგი დრო გავატარეო.

**ლევან ძელაურაძე**

## წყალბურთი



REUTERS ათენიდან

რეზო ჩომახიძემ (თეთრ ქუდში) ამჯერად ვერ იხსნა რუსეთი

II ტური

A ჯგუფი

აშშ 9:6 ყაზახეთი
სერბეთ-ჩერნ. 4:3 რუსეთი
უნგრეთი 10:8 ხორვატია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 2 | 0 | 0 | 4 |
| რუსეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 0 | 4 |
| ს და ჩ | 1 | 0 | 1 | 2 |
| ხორვატია | 0 | 0 | 2 | 0 |
| ყაზახეთი | 0 | 0 | 2 | 0 |

B ჯგუფი

გერმანია 13:3 ეგვიპტე
იტალია 8:4 ავსტრალია
საბერძნეთი 8:5 ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 0 | 0 | 4 |
| ავსტრალია | 1 | 0 | 1 | 2 |
| იტალია | 1 | 0 | 1 | 2 |
| ესპანეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| ეგვიპტე | 0 | 0 | 2 | 0 |



REUTERS ათენიდან

როჯერ ფედერერი ათენიდან ვინმე ტომას ბერდიჩმა გამოისტუმრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა



მაიკლ ფელპსმა თავისი მაინც გაიტანა

# იანკების დღე

## სპიცი გადარჩა, ოქროები ფელპსს დარჩა

**მაიკლ ფელპსი** ვერ შეეხება ლეგენდარული თანამემამულის მარკ სპიცის უნიკალურ რეკორდს, ერთ ოლიმპიადაზე 7 ოქროს მედალს — თუმცა ათენში ჩასვლამდე ბევრი იტრაბახა. მან უკვე საკმარისზე მეტი დისციპლინა ჩააფლავა, თუნდაც გუშინწინ ყველაზე პრესტიჟული 200 თავისუფალი მეტრი იან ტორპთან წააგო და ჰოლანდიელ პიტერ ვან დენ ჰუგენბანდსაც ჩამორჩა. მაგრამ ნიჭიერი იანკი ოქროს გარეშე რომ არ დატოვებდა ოლიმპიადას, არც ამას გაუვიდოდა წყალი.

აი, სამშაბათი კი ნაღდად ფელპსის დღე იყო — 200 მეტრი ბატერფლაის სტილით 1 წუთსა და 54,04 წამში გაცურა და ნახევარი წამით აჯობა იაპონელ ტაკაში იამატოს. ფელპსი გუშინ თავს თევზივით გრძნობდა და ამ ერთ ოქროს არ დასჯერდა, თანაგუნდელებიც დაიხმარა და ამერიკას 4x200 თავისუფალი მეტრი მოაგებინა.

ქალთა შორის 200 მეტრის თავისუფალი სტილით გაცურვა კი ყველაზე კარგად რუმინელ კამელია პოტეცს შესძლებია. 1:58,03 შედეგმა მას ოქრო მოუტანა. რუმინელს 0,19 წამით ჩამორჩა იტალიელი ფედერიკა პელეგრინი, ფრანგმა სოლენე ფიგემ კი 1:58,45 დრო აჩვენა და მესამე ადგილს დასჯერდა.

გულშემატკივართა გაკვირვებას განაგრძობს ზიმბაბველი მდედრი კრისტი ქოვენთრი, რომელმაც ამ ოლიმპიადაზე უკვე მეორე მედალს გამოჰკრა ხელი. ამჯერად მან ბრინჯაო 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მოიპოვა. მისი დრო 2 წუთი და 12,72 წამია, რაც 0,12 წამით ჩამორჩება მეორეადგილოსანი ამერიკელი ამანდა ბერდის შედეგს. გამარჯვება კი, როგორც მოსალოდნელი იყო, წლეულს ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა უკრაინელმა ქალბატონმა იანა კლოჩკოვამ იზეიმა. ოქროს მოსაპოვებლად მას 2 წუთი და 11,14 წამი ეყო.

**ლადო ჟულუკიძე**

კალათბურთი

# ნუ გააღვიძებთ ჩინურ დრაკონს!

## იაო მინგი აბობოქრდა

A ჯგუფი

**ჩინეთი 69:62 ახ. ზელანდია**
ჩინეთი: მინგი (39 ქულა, 13 მოხსნა)
ახალი ზელანდია: ჯონსი (23)

**სერბეთი 74:72 იტალია**
სერბეთ-ჩერნოგორია: რაკოჩევიჩი (19), ბოდიროგა (15)
იტალია: ბულერი (15), კიაჩიგი (11)

**ესპანეთი 87:76 არგენტინა**
ესპანეთი: გასოლი (26), კალდერონი (17)
არგენტინა: სკოლა (28), ჯინობილი (17)

| | | |
|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 0 |
| არგენტინა | 1 | 1 |
| ჩინეთი | 1 | 1 |
| იტალია | 1 | 1 |
| სერბეთი | 1 | 1 |
| ახ. ზელანდია | 0 | 2 |

B ჯგუფი

**ავსტრალია 83:59 ანგოლა**
ავსტრალია: ჰელი (18), ბოგუ (16)
ანგოლა: მონტეირო (18), კოსტა (12)

**ლიტვა 98:90 პუერტო რიკო**
ლიტვა: შიშკაუსკასი (23), მასიაუსკასი (19), იასიკევიჩუსი (18)
პუერტო რიკო: აროიო (25), აიუსო (25)

**აშშ 77:71 საბერძნეთი**
აშშ: აივერსონი (17), დანკანი (14)
საბერძნეთი: ფოცისი (17)

| | | |
|---|---|---|
| ლიტვა | 2 | 0 |
| საბერძნეთი | 1 | 1 |
| ავსტრალია | 1 | 1 |
| პუერტო რიკო | 1 | 1 |
| აშშ | 1 | 1 |
| ანგოლა | 0 | 2 |



პაუ გასოლის ესპანეთს არგენტინა შემოემარცხა

არ ღირს იაო მინგის აბუჩად აგდება და, მით უმეტეს, ჩამოწერა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ იატაკიდან 2 მეტრსა და 26 სანტიმეტრს აითვლის. ის კარგი კალათბურთელია და ეს მან გუშინ ახალ ზელანდიასთან გავეშებული სახით დაამტკიცა.

ოლიმპიადამდე ხმები დაუყარეს, სახალხო ჩინეთის ეროვნულ ნაკრებში თამაშს უკადრისობსო, აქაოდა, ნბა-ში გადავიდა და ცხვირი ასწიაო. მერე ჩინეთმა ათენში პირველი თამაში ესპანეთთან 58:83 რომ წააგო და მინგმა მხოლოდ 12 ქულა შეაკოწიწა, ტრიბუნებმა დაცინვა დაუწყეს და თამაშიდან სტვენით გააცილეს. ორი დღის შემდეგაც ამრეზით შეხვდნენ ახალ ზელანდიასთან სათამაშოდ შემოსულს, მაგრამ დაიწყო მატჩი და მინგის სახელმა და ანგარიშზე ქულებმა პროპორციულად იწყო ზრდა. ახალზელანდიელი კალათბურთელები კი არა, ჩინელ გოლიათს მათი თანამემამულე მრისხანე მორაგბეებიც ვერ შებოჭავდნენ — ყრიდა და ყრიდა ბურთებს და თამაში 39 ქულით დაასრულა. ათენში ამ შედეგს თავად თუ გააუმჯობესებსო, უკვე აღფრთოვანებანარევი ლაპარაკიც გაისმა. მერე რა, რომ დანარჩენი 11 ჩინელიდან ერთმაც ვერ შეაგროვა 10 ქულაც კი, ჩინეთმა მაინც იმარჯვა და უიმედო აუტსაიდერის უსიამოვნო სახელიც მოიშორა.

დიდი ამბები დატრიალდა A ჯგუფის ორ სხვა მატჩშიც. ოლიმპიადის გარდა ყველაფრის ჩემპიონმა სერბებმა (მოდით, ჩერნიგორიას ნუღარ მივაწერთ) ძლივს მოუგეს უვარსკვლავო, მაგრამ რომაული ლეგიონივით დისციპლინირებულ იტალიას და არგენტინასთან სასწაული მარცხის შემდეგ ცოტა ფერზე მოვიდნენ.

სიმპათიურ და ვერცხლისწყალა არგენტინასაც გამოუჩნდა მჯობნი. მანუ ჯინობილის, ლუის სკოლასა და ფაბრიციო ობერტოს გუნდს ესპანელმა პაუ გასოლმა მთლად იაო მინგივით მარტომ ვერა, მაგრამ ძმობილი კასტილიელების დახმარებით დამაჯერებლად მოუგო და ჯგუფს მეთაურად ექცა.

B ჯგუფში ცენტრალურ მატჩად წესით ევროჩემპიონი ლიტვისა და დიდი ამერიკის მძლეველი „პატარა ამერიკის" — პუერტო რიკოს ჯახი უნდა ჩათვლილიყო. ყველა ფიქრობდა ნბა-ს „ოცნების გუნდი" პუერტო რიკოს ჯავრს მასპინძელ და არცთუ უშველებელ საბერძნეთზე იყრისო, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზია გამოდგა. „დრიმ თიმმა" ვერც საბერძნეთი დაჩაგრა და კიდევ მადლობა უნდა თქვას, ამ მდარე ჯახირის შემდეგ გამარჯვება რომ შერჩა.

| | |
|---|---|
| **A ჯგუფი** | **B ჯგუფი** |
| ესპანეთი 31:30 კორეა | უნგრეთი 33:28 ეგვიპტე |
| რუსეთი 28:25 სლოვენია | გერმანია 28:18 საბერძნეთი |
| ხორვატია 34:30 ისლანდია | საფრანგეთი 31:17 ბრაზილია |
| კორეა 35:32 რუსეთი | საფრანგეთი 29:25 საბერძნეთი |
| ხორვატია 27:26 სლოვენია | უნგრეთი 20:19 ბრაზილია |
| ესპანეთი 31:23 ისლანდია | გერმანია 26:14 ეგვიპტე |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 62:53 | 4 |
| ხორვატია | 2 | 0 | 0 | 61:56 | 4 |
| კორეა | 1 | 0 | 1 | 65:63 | 2 |
| რუსეთი | 1 | 0 | 1 | 60:60 | 2 |
| სლოვენია | 0 | 0 | 2 | 51:55 | 0 |
| ისლანდია | 0 | 0 | 2 | 53:65 | 0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 0 | 0 | 54:32 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 0 | 60:42 | 4 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 0 | 53:47 | 4 |
| საბერძნეთი | 0 | 0 | 2 | 43:57 | 0 |
| ბრაზილია | 0 | 0 | 2 | 36:51 | 0 |
| ეგვიპტე | 0 | 0 | 2 | 42:59 | 0 |



ბრაზილიის მძლეველი უნგრეთი წაუგებლად მიდის

ხელბურთი

# ცოცხლები ვართ, ცოცხლები!

## მოხუცი რუსეთი თავს არ იტყუებს

**ტურნირში** ქალთა ათი და ვაჟთა 12 ნაკრები მონაწილეობს. გუნდები ორ-ორ ჯგუფად არიან დაყოფილი და წრიული ეტაპის მერე ოთხ-ოთხი გააგრძელებს ბრძოლას პლეი ოფის წესით.

მეტად დაძაბულად მიმდინარეობს თამაშები კაცთა A ჯგუფში, სადაც ერთ კომპანიაში მოხვდნენ 2000 წლის ოლიმპიური ჩემპიონი რუსები, მსოფლიოს ჩემპიონი ხორვატები, ევროპის ვიცე-ჩემპიონი სლოვენიელები, ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი ესპანელები და თუმც უტიტულო, მაგრამ ყოველთვის ყველა მეტოქისთვის საშიში, „რეაქტიული" კორეელები. ერთი სიტყვით, სწორედ რომ „სიკვდილის ჯგუფია" და მეოთხედფინალში გასასვლელად ერთმანეთს დაჭამენ, ჩამონათვალიდან ერთი გუნდი ხომ ზედმეტი აღმოჩნდება.

აზიელები უკვე გახდნენ ჯერჯერობით ყველაზე დიდი სენსაციის ავტორები — მეორე ტურში თვით ოლიმპიურ ჩემპიონებს სძლიეს. რუსთა მწვრთნელი ვლადიმირ მაქსიმოვი აქცენტს ოთხი წლის წინ სიდნეიში ნაყოჩაღებ ვეტერანებზე აკეთებს, რვა მათგანი ჰყავს შემადგენლობაში, მათ შორის 40 წლის ალექსანდრ ტუჩკინი და 42 წლის დაუბერებელი მეკარე ანდრეი ლავროვი, რომლისთვისაც ათენი-2004 მეხუთე ოლიმპიადაა. გუნდის საშუალო ასაკი 31 წელია და რა გასაკვირია, რომ ბებრებს ძალიან გაუჭირდათ მათზე 5 წლით უმცროს, ვერცხლისწყალივით მოძრავ კორეელებთან გამკლავება. მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე ანგარიში საყაიმო იყო — 23:23, მერე კი დაღლილი ჩემპიონები ერთი-ორჯერ დაცვაშიც შეცდნენ და ვერც შეტევისას გამოიჩინეს სიზუსტე. ამით მშვენივრად ისარგებლეს კორეელებმა, პირველად გავიდნენ წინ და ბოლომდე აღარც დაუთმიათ ინიციატივა. მათ დამსახურებული მოგება ჩაიწერეს — 35:32.

მაქსიმოვმა მარცხი ტრაგედიად არ აღიქვა: „არაფერია სიკვდილზე საშინელი, ჩვენ კი ჯერ ცოცხლები ვართ. თუმც მდგომარეობა თავადვე გავირთულეთ."

მეორე ჯგუფში მოულოდნელობა არ მომხდარა — ფავორიტებმა დაგეგმილი დამაჯერებელი გამარჯვებები მოიპოვეს.

**ქალები**

| | |
|---|---|
| **A ჯგუფი** | **B ჯგუფი** |
| უნგრეთი 28:24 ჩინეთი | ესპანეთი 24:24 ანგოლა |
| ბრაზილია 29:21 საბერძნეთი | დანია 35:26 საფრანგეთი |
| უკრაინა 26:21 ჩინეთი | კორეა 29:29 დანია |
| უნგრეთი 33:20 საბერძნეთი | საფრანგეთი 27:20 ესპანეთი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ობიექტი



მწველ მზეს გაქცეულები მწველი კოცნით ითანგებიან




ვითომ კომბინაციის ნომერი გვაინტერესებს, სინამდვილეში კი სხვა რამეს ვუყურებთ



დალიე პატარავ



XXI საუკუნის ჰიდროდინამიკა

ამას ჰქვია, თავზე უქნაო






ტანვარჯიში

# ცხოვრება სპორტისთვის

## ეჰ, რამდენია მოსაგონარი

დღეს თბილისის გულო რცხილაძის სახელობის ტანვარჯიშის კომპლექსს კომპლექსისა არაფერი სცხია, მაგრამ რაც ამ დარბაზში სახელოვანი სპორტსმენები აღზრდილან, ბევრი უკეთილმოწყობილესი მართლა კომპლექსი ვერ დაიკვეხნის. იგი 1958 წელს აშენდა და დაარსების დღიდან ერთი კაცი, სპორტზე ფანატიკურად შეყვარებული გოდერძი კაჭარავა დირექტორობს. დღეს ბატონ გოდერძის 70 წელი შეუსრულდა.



ჩვენი სტუმრობისას იუბილარს თვალები აუწყლიანდა და ტკბილ მოგონებებში ჩაეფლო: „კარგი დრო იყო, ბედს არ ვემდური. ფიზკულტურის ინსტიტუტი რომ დავამთავრე, როგორც წარჩინებულ სტუდენტს, ქალაქის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გულო რცხილაძემ ჯერაც აუშენებელი ტანვარჯიშის დარბაზის ხელმძღვანელობა მანდო. 1980 წელს დარბაზს რეკონსტრუქცია გაუკეთდა, უფრო სოლიდური გახდა. იმავე წელს მოსკოვის ოლიმპიადაზეც მიმიწვიეს — ტანვარჯიშის გამოცდილი სპეციალისტის რანგში. სწორედ ამ კომპლექსში გაიზარდნენ მსოფლიოს თუ ოლიმპიური ჩემპიონები და ბედნიერი ვარ, რომ მზია ჯუღელის, ვლადიმერ გოგოლაძის, ნოდარ მაკალათიას, პაატა შამუგიას, რეზო შარაბიძის, ნინო დრონოვას, რუსუდან სიხარულიძისა და მათი დარი სპორტსმენების გვერდით ვმუშაობდი."

ორი წელიწადია, გოდერძი კაჭარავა ინსულტითაა დაავადებული, ასეთ მდგომარეობაში კაცი სამსახურზე გულს აიყრიდა, მაგრამ მას ტანვარჯიშის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, ამბობს — საქმეში ფანატიზმი ტანვარჯიშის ისეთი კორიფეებისგან ვისწავლე, გიორგი ეგნატაშვილი, კოკა თაყაიშვილი, გიორგი ნიკოლაძე და სხვები რომ იყვნენო. „ისინი ხომ არამარტო სპორტული მიღწევებით, არამედ იშვიათი ბუნებითა და დიდი განათლებით გამოირჩეოდნენ საზოგადოებაში" — დასძენს იუბილარი.

აბა, 70 წლის კაცს კურიოზებს რა გამოულევდა. ბატონმა გოდერძიმ ერთი ასეთი ამბავი გაიხსნა — „1976 წელს ტანვარჯიშში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებას თბილისმა უმასპინძლა. ლეგენდარული ლიუდმილა ტურიშჩევა ჩამოვიდა. მისი სილამაზე ხომ ცალკე სალაპარაკო თემაა, ეს ცოლ-შვილიანი კაციც კი გადავირიე. ჰოდა, მისი სტუმრობით ვისარგებლე, მე და ჩემმა მეგობარმა ავთო ცომაიამ მთელი თბილისი სამთვლიანი მოტოციკლით შემოვატარეთ, შემდეგ რესტორან „ივერიაში" დავპატიჟეთ და უცებ ავთო ეუბნება ტურიშჩევას, გოდერძი ყურებამდეა შენზე შეყვარებულიო. ლიუდმილა ხომ დაიბნა და დაიბნა, მისი მწვრთნელიც ვერ მიგვიხვდა ხუმრობას, რას მიკეთებო, ეს გოგო თბილისში რომ დავტოვო, რუსეთში როგორღა ჩავიდეო"...

... გოდერძი კაჭარავას შვილი და შვილიშვილებიც სპორტს გაჰყვნენ. მისი ვაჟი დავითი საკმაოდ ყოჩაღად თამაშობდა ფეხბურთს და ერთხანს სპორტულ ჟურნალისტადაც მუშაობდა. შვილიშვილებს კი რაგბის ქართველი ქომაგები კარგად უნდა იცნობდნენ — უფროსი, გიორგი ფრანგულ „სენტ-ნაზერში" თამაშობს, ხოლო უმცროსი, დავითი „სტუ-ყოჩების" ერთ-ერთი ლიდერია.

დასასრულ იუბილარმა უამრავი დამსახურებული ჯილდო ჩამოგვითვალა და იქვე დასძინა, ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო ის იქნება, ცხოვრებაში კიდევ ერთხელ რომ მოვესწრო ქართველი ტანმოვარჯიშის მიერ დიდი ტიტულის მოპოვებასო...

**ილია ნანობაშვილი**

სამჭიდო

# ღონის ძიება

## ქართველებმა ამერიკიდან ბლომად ოქრო წამოზიდეს

*ცოტამ თუ იცის, რომ კლასიკურ ძალოსნობასთან ერთად საქართველოში სამჭიდშიც არსებობს და განა მხოლოდ არსებობს... ეს სახეობა სამ ძალოსნურ მოძრაობას მოიცავს: ჩაჯდომა, წოლჭიმი და ამოწევა. პირველისას ჩემჯდარი სპორტსმენი ბეჭებზე გადებული შტანგითურთ უნდა წამოდგეს და წონა დააფიქსიროს. წოლჭიმში, სახელიდანაც ჩანს — სპორტსმენი დაწოლილი ცდილობს სიმძიმის დაძლევას. ამოწევა: ძალოსანი შტანგასთან კლასიკურ პოზაში დგება, თუმცა სიმძიმის ბოლომდე აწევა არ ევალება. საკმარისია, წელში გასწორდეს და წონა დააფიქსიროს.*

მოკლედ, სამჭიდი საინტერესო სახეობაა და ოლიმპიურ პროგრამაში თუ შეიტანეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. ამის თქმის უფლებას ამერიკულ ქალაქ პისკავეიში გამართული მეცამეტე მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგები გვაძლევს. ჩვენმა შვიდეულმა ამერიკიდან 14 მედალი ჩამოიტანა, აქედან 10 ოქროსი. მართალია, გუნდური შედეგები ოფიციალურად არ შეუჯამებიათ, მაგრამ არაოფიციალურად ჩვენები ოდენ მასპინძლებს ჩამორჩნენ — ამერიკელები უფრო მეტ დისციპლინაში გამოდიოდნენ და თან არა მხოლოდ ვაჟები, არამედ მანდილოსნებიც (მანდილოსანს ვამბობთ, თორემ კისერზე შტანგაგადებული ამერიკელი დედაკაცები რომ დაგენახათ ამ სიტყვის სათქმელად ენა არ მოგიბრუნდებოდათ).

ჩემპიონატში მედლები თამაშდება ცალკეულ დისციპლინებშიც და სამჭიდიც ანუ გამარჯვებული სამივე დისციპლინაში ნაჩვენები შედეგის შეჯამებით ვლინდება. იყო დამატებითი სახეობაც — ბიცეფსით სიმძიმის დაძლევა: ხელში მოგდებული სიმძიმე სპორტსმენმა მკერდზე უნდა მიიტანოს. ტარდება ღია პირველობაც, სადაც ყველა მონაწილეს შეუძლია გამოსვლა, თუ ძალა ერჩის, და ასაკობრივი შეჯიბრებებიც, სადაც 60 წელს გადაცილებული ხალხიც კი მონაწილეობს.

ძალოსნური სამჭიდის ფედერაცია ჩვენში ოც წელიწადზე მეტია არსებობს, თუმცა მისი არსებობის შესახებ ბევრმა სპორტულმა ჟურნალისტმაც კი არ იცის. სპორტსმენები შეჯიბრებაზე საკუთარი სახსრებით დადიან. 1 სექტემბერს ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებია და მასში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნიკოლოზ სარალიძეც აპირებს მონაწილეობას. „ამერიკაში ჩვენი ფულით და მეგობრების დახმარებით წავედით. გუნდის ორი წევრი — ვეფხია ჯმუხაძე და ბორის სარალიძე ამერიკაში ცხოვრობენ, დღეში ათ საათს მუშაობენ და ამის შემდეგ ვარჯიშობენ. მათაც დიდი წილი დადეს ჩვენს დაფინანსებაში" — გვითხრა ნიკოლოზ სარალიძემ, რომელიც გუნდს მწვრთნელად ახლდა. ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ჭავჭანიძემ ამერიკაში გამგზავრება ვერ მოახერხა.

ქართველთაგან ვინმეს გამორჩევა ძნელია, თავი არავის დაუზოგავს. კობა ალუდაურმა (100კგ) სამჭიდში იმარჯვა. 290 კილო ჩაჯდომაში ასწია, 200 კილოს წოლჭიმში სძლია, 290 კილოგრამი ამოზიდა და ახალი მსოფლიოს რეკორდსაც შესწვდა.

ახალგაზრდებში 75კგ წონაში სერგო მერაბიშვილმა 2 ოქრო მოიპოვა (წოლჭიმი, ამოწევა), ღია პირველობაზე, კი ვერცხლს დაეუფლა (ბიცეფსი). ბორის სარალიძემ (82,5კგ), წოლჭიმში ბრინჯაო მოიპოვა, ამავე სახეობაში ოღონდ 110კგ წონაში ვეფხია ჯმუხაძემ ვერცხლი აიღო, ბიცეფსით კი ოქროს დაეპატრონა. 100კგ-ში ვეტერანთა შორის სოსო ხარაბაძემ გაიმარჯვა, ღია პირველობაზე კი ვერცხლი მოინადირა.

125კგ-მდე წონაში ხვიჩა მამედოვმა ისახელა თავი — წოლჭიმსა და ბიცეფსზე ასპარეზობაში რეკორდები მოხსნა და თავისთავად ოქროებიც ირგუნა. ანალოგიურად გამოვიდა ზემძიმე წონაში გერონტი ჯმუხაძეც.

**ლადო ფულუკიძე**




ქართველ სამჭიდელთა თავკაცი ზურაბ ჭავჭანიძე



# ამხანაგური მატჩები. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



იურგენ კლინსმანი და რობერტ ჰატი

## ავსტრია — გერმანია

# კლინსმანმა ჰატს ნაკრების აჩუქა

**დღეს** ვენაში იურგენ კლინსმანის სამწვრთნელო დებიუტი შედგება. ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციის საუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით ავსტრია-გერმანიის ამხანაგური მატჩი გაიმართება.

ბუნდესნაკრებში კაპიტანი შეიცვალა. ოლივერ კანი სამკლავურს მიხაელ ბალაკს დაუთმობს, მწვრთნელმა ასე ინება. „მე მსურს, რომ ნაკრებს მოედნის შუაგულში მოტრიალე კაცი კაპიტნობდეს, რადგან მას თანაგუნდელებთან საუბრის მეტი საშუალება ექნება“ — განმარტა კლინსმანმა. ოლივერ კანი, რომელმაც 2001 წელს კაპიტნობა ოლივერ ბირჰოფისგან ჩაიბარა, მწვრთნელს დაეთანხმა, ხოლო ბალაკმა თქვა: „ხშირად მაკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მოედანზე ვერ ვლიდერობ, მაგრამ ახლა მეტი პასუხისმგებლობა მეკისრება და მზად ვარ, გუნდს გავუძღვე“.

იენს ნოვოტნი და არნე ფრიდრიხი ტრავმირებულნი არიან. მათ ნაცვლად „ჩელსის“ მცველი რობერტ ჰატი (დღეს 20 წლის ხდება) და „ბაიერნის“ ვეტერანი ტომას ლინკე გამოიძახეს. ჰატს ნაკრებში პირველად უხმეს, ხოლო ლინკეს ეროვნული გუნდის მაისურა ორი წელია, არ მოურგია. მიროსლავ კლოზეც დაშავებულია და კლინსმანმა ჯერალდ ასამოა მიიწვია, რომელმაც ბუნდესნაკრებში ბოლოს 2003 წლის აპრილში ითამაშა.

ავსტრიელთა გუნდში ტრავმირებულია მარკუს კეისენებნერი. მის ნაცვლად „რაპიდის“ ფეხბურთელი მარკუს კაცერი ითამაშებს. ჰანს კრანკლს დებიუტანტიც ეყოლება — მიხაელ მორცი. „მატერსბრუგის“ 24 წლის ნახევარმცველი შემადგენლობაში პირველად მოხვდა. მწვრთნელმა დიტმარ კუბაუერსაც უხმო, რომელიც 2001 წლის შემდეგ ნაკრებში არ გამოჩენილა.

ავსტრია 4 სექტემბერს მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში ინგლისს ხვდება. „გერმანია იდეალური მეტოქეა ინგლისთან თამაშის წინ — თქვა კრანკლმა — ჩვენ კარგად უნდა მოვემზადოთ და ვეცდებით, გერმანია დავამარცხოთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## საფრანგეთი — ბოსნია

# უზიდანოდ და უკაპიტნოდ

### ბალიჩ-ბოლიჩის ბოსნია დომენეკს გამოცდის

**რაიმონ დომენეკის** უზიდანო, გადახალისებული საფრანგეთი ბოსნია-ჰერცოგოვინას უმასპინძლებს. „სამფეროვნებს“ ფაბიენ ბარტეზი უკაპიტნებს, რადგან პატრიკ ვიეირა შეუძლოდაა და ვერ ითამაშებს. თავად ვიეირამ კაპიტნის სამკლავური მარსელ დესაისგან ჩაიბარა, რომელმაც ევრო 2004-ის შემდეგ სანაკრებო კარიერა დაასრულა.

„საფრანგეთის ნაკრებში ახალი ფეხბურთელები მოვიდნენ და მათ გამოცდილებთან ერთად უნდა იშრომონ წარმატების მისაღწევად. თაობათა ცვლა აუცილებელია. ჩვენი მიზანია მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე თამაში და სულ მცირე, ნახევარფინალში გასვლა“ — განაცხადა დომენეკმა.

ბოსნია-ჰერცოგოვინას ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი დააკლდება. მცველები: მუჰამედ კონიჩი, ვედინ მუსიჩი და ნახევარმცველი დრაგან ბლანტიაკი. ტრავმიანობის გამო ბლაჟ სლიშკოვიჩის გუნდი 17 კაცამდე შემცირდა. „საფრანგეთში მოსაგებად ვითამაშებთ. ეს მატჩი ჩვენთვის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრიდან არაფრით გამოირჩევა. სეირნობას არ ვაპირებთ“ — თქვა სტუმართა მწვრთნელმა სლიშკოვიჩმა. ბოსნია-ჰერცოგოვინას ექვსთვიანი შესვენების შემდეგ მეკარე კენან ჰასაგიჩი დაუბრუნდა, რომლის გადასვლა სარაევოს „ზელეჟნიჩარიდან“ თურქულ „გაზიანთეფსფორში“ თითქმის ნახევარი წელი გაიწელა და უთამაშებელს სანაკრებო მატჩები გაუცდა.

ბელგრადის „პარტიზანის“ მცველი ბრანიმირ ბაიჩი და ხორვატიული „პულის“ შემტევი ასიმ სეპიჩი ეროვნულ გუნდში პირველად გამოიძახეს. სავარაუდოდ ძირითად შემადგენლობაში იქნებიან ელვირ ბალიჩი, ელვირ ბოლიჩი და „ჰამბურგის“ სერგი ბარბარესი.

**ვაჟა ხუციშვილი**




რაიმონ დომენეკი საქმეშია

## შოტლანდია — უნგრეთი

# ფოგტსის მოტივაცია

### შვიდი წელი ამ დღეს ველით





ბერტი ფოგტსი ძველი შეგირდის, ლოთარ მათეუსის დამარცხებას აპირებს

**შოტლანდიის** ნაკრებს ბერტი ფოგტსის ხელში შინ ამხანაგური მატჩი არ მოუგია. 2002 წლის 21 აგვისტოს სქოთები ფოგტსის სადებიუტო შეხვედრაში „ჰემპდენ პარკზე“ დანიასთან 0:1 დამარცხდნენ. შემდეგ მიჯრით წააგეს ირლანდიასთან, ავსტრიასთან და რუმინეთთან. შოტლანდიელთა მწვრთნელი ამჯერად გამარჯვებას გეგმავს უნგრეთთან, რომელსაც მისი ოდინდელი შეგირდი ლოთარ მათეუსი თავკაცობს. ისტორიას თუ ამოვქექავთ, ვნახავთ, რომ სქოთებს გლაზგოში ბოლოს ამხანაგურ მატჩში 1996 წლის მარტში ავსტრალიასთან 1:0 მოუგიათ. „წლეულს რუმინეთთან წავაგეთ 1:2, მაგრამ შვიდი წლის განმავლობაში პირველი გოლი გავიტანეთ „ჰემპდენ პარკზე“, ახლა კი პირველი გამარჯვების დრო დადგა და ფეხბურთელებსაც ამის თაობაზე ვესაუბრე“ — განაცხადა გერმანელმა მწვრთნელმა. შოტლანდიას ედინბურგში კანადა და ტრინიდად-ტობაგო ჰყავს დამარცხებული, მაგრამ: „ედინბურგში კოხტა, პატარა სტადიონია, თუმც გუნდს ბევრი გულშემატკივარი და ატმოსფეროს შექმნა სჭირდება. ამიტომაც ვისურვეთ გლაზგოში თამაში“ — აღნიშნა ფოგტსმა.

მასპინძლებს გამოჯანმრთელებული ბარი ფერგიუსონი დაუბრუნდათ, რომელმაც ბოლოს 7 თვის წინ ითამაშა. ნაკრებში პირველად გამოიძახეს „სელტიკის“ ყმაწვილი მეკარე დევიდ მარშალი. „ჩვენ გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების კარგი ნაზავი გვყავს. უნგრეთთან და ესპანეთთან ამხანაგურ მატჩებს მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის მოსამზადებლად ნაყოფიერად გამოვიყენებთ. რაც შეეხება მათეუსს, ის დიდი მოთამაშე იყო და ვიმედოვნებ, რომ ასევე დიდი მწვრთნელი გახდება“ — დაასრულა შოტლანდიელთა თავკაცმა.

უნგრელებს ორი ტრავმირებული ფეხბურთელი ჰყავთ. მათეუსის გუნდს „შტუტგარტის“ იმრე საბიჩი და „ფერენცვაროშის“ პეტერ ლიპჩეი დააკლდებიან.

# ამხანაგური მატჩები. დღეს

## ესპანეთი — ვენესუელა



# მეცნიერის ცრურწმენა

## არაგონესმა ესპანეთი კანარებზე წაიყვანა

**ესპანეთის** ნაკრები ახალდანიშნული მწვრთნელის, ლუის არაგონესის ხელმძღვანელობით თავის პირველ მატჩს გამართავს — „ესტადიო დე გრან კანარიაზე“ რიჩარდ პაესის სუსტ ვენესუელას დაუხვდება. მხცოვანმა ლუისმა, ვისაც ესპანური პრესა „ელ საბიოდ“ (მეცნიერად) მოიხსენიებს, გუნდში რამდენიმე ახალგაზრდას უხმო — ოკეანისგალმელებთან ძალებს, სავარაუდოდ, დელ ორნო, ლოპეს რეკარტე, ვიქტორი, ხოსე ანტონიო რეიესი და რაულ ტამუდო მოსინჯავენ.

საფეხბურთო ქრონიკათა მიხედვით, ესპანეთის ეროვნული გუნდი კანარის კუნძულებზე ჩატარებულ არცერთ შეხვედრაში არ დამარცხებულა. 1972 წელს იუგოსლავიასთან ოფიციალურ მატჩში ფრე, 2:2 ითამაშა. იმავე სეზონში ამხანაგურ მატჩში საბჭოთა ნაკრებს 2:0 სძლია, 1:1 დასრულდა მექსიკასთან შეხვედრა, ხოლო 1996-ში ესპანელებმა ნორვეგიელები გაისტუმრეს 1:0. გარდა ამისა, თავად „ელ საბიოს“ ფეხბურთელობის ჟამს ნაკრების მაისურით წაგების სიმწარე არ უგემია — მისი მონაწილეობით ფრანკოსდროინდელმა ესპანეთმა თავის აქტივში 6 გამარჯვება და 4 ფრე ჩაიწერა.

„ვეცდები, ვენესუელასთან ყველას მივცე თავის გამოჩენის საშუალება. გერმანიის 2006 წლის მუნდიალისკენ მიმავალ გზაზე „ესტადიო დე გრან კანარიას“ შეხვედრა პირველი ნაბიჯი იქნება“ — განაცხადა ლუის არაგონესმა „მარკასთან“ საუბრისას.

რიჩარდ პაესის ბიჭებზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ გასულ კოპა ამერიკაზე მეზობელი და საფეხბურთო თვალსაზრისით გაცილებით ყოჩაღი ურუგვაი 3:0 გაანადგურეს. თუმცა ძველი გმირობანი ვენესუელას ესპანეთთან ვერაფრით დაეხმარება — მით უმეტეს, მათ ერთადერთ ვარსკვლავს, ხუან არანგოს ტრავმა მიუღია და დღევანდელ მატჩს თვალყურს ოდენ ტრიბუნიდან მიადევნებს.

ესპანეთსა და ვენესუელას შორის აქამდე ერთი ამხანაგური შეხვედრა გაიმართა — 1981 წელს, კარაკასის ოლიმპიურ სტადიონზე ევროპელებმა მასპინძლები 2:0 დაჯაბნეს. გოლები კი სატრუსტეგისა და ხუანიტოს გაუტანიათ.

**ლადო ხომერიკი**

# რეიესმა პირესი სკამზე დასვა



**ლონდონის** „არსენალის“ ესპანელმა ნახევარმცველმა, ხოსე ანტონიო რეიესმა ჯერ ინგლისის სუპერთასზე „მანჩესტერ იუნაიტედს“ გაუტანა, მერე კი პრემიერლიგის პირველ ტურში „ევერტონს“. ეს იყო და, აქამდე ძირითადში ფეხმოკიდებული ფრანგი, რობერ პირესი სათადარიგოთა სკამისკენ გაისტუმრა. „მე „არსენალში“ ადგილის დასამკვიდრებლად ვიბრძვი და გამოგიტყდებით, ნაკლებად მაინტერესებს, გუნდს გარეთ ვინ დარჩება, რობერ პირესი თუ სხვა ვინმე“ — უთხრა რეიესმა ესპანურ „მარკას“.

ხოსე ახლა სამშობლოშია, კანარის კუნძულებზე, სადაც ესპანეთის ეროვნული გუნდის დანარჩენ წევრებთან ერთად ვენესუელასთან ამხანაგური მატჩისთვის ემზადება. „მეთოფეთა“ მოიერიშე ესპანურ პრესასთან საუბრისას ნაკრების ახალი თავკაცის, ლუის არაგონესის ქებას არ ერიდება: „არაგონესის დარი სპეციალისტი იშვიათია. მიხარია, რომ მწვრთნელს ჩემი სჯერა, მე კი ვეცდები, მისი ნდობა გავამართლო“.

რეიესმა განვლილი ევროპის ჩემპიონატიც გაიხსენა და აღიარა, რომ მისთვის ესპანელთა მთავარ გუნდში ვერმოხვედრა უდიდესი იმედგაცრუება იყო. ამიტომაც, უზარმაზარი სურვილი აქვს, ნაკრების ახლანდელ თავკაცობასა და სრულიად ესპანეთს თავისი სიჩაუქე დაუმტკიცოს.

ხოსე ანტონიომ ინგლისურ პრემიერლიგასა და „არსენალზეც“ ილაპარაკა: „ინგლისში ესპანეთისგან განსხვავებულად თამაშობენ, მაგრამ, ჩემი აზრით, „არსენალის“ სათამაშო სისტემას კარგად შევეწყვე. შეუძლებელია, ასეთ გუნდში რაიმე არ ისწავლო, მით უფრო, რომ მსოფლიო დონის ვარსკვლავების მხარდამხარ ვვარჯიშობ და ვთამაშობ“.

**ლადო ხომერიკი**

## ნორვეგია — ბელგია

# ჰარეიდემ ტრიოს ჯანი დაუწუნა, მარტი მოიწონა



ბელგიელთა მწვრთნელ ემე ანტუნესს დანიელ ვან ბუიტენი დაუბრუნდა

**ნორვეგიის** ნაკრების მწვრთნელმა აგე ჰარეიდემ ბელგიასთან ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ იონ კარეუ, სტეფენ ივერსენი და რონი იონსენი არ გამოიძახა. „მათთვის ჯერ ადრეა, რადგან სასურველ ფორმაში არ არიან. სამივეს მოლონიერება სჭირდება და უნდა ივარჯიშონ, რომ სექტემბერში იტალიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრისთვის მზად იყვნენ“ — განაცხადა ჰარეიდემ. მწვრთნელის ყურადღება დაიმსახურა „ტრომსიოს“ ფორვარდმა ოლე მარტი არსტმა, რომელმაც 17 მატჩში 9 გოლი მიითვალა და ამიტომაც მიიწვიეს ნაკრებში. ჰარეიდემ ალექსანდ ოდეგაარდსა და ვეტერან დერეკ სორენსენსაც უხმო.

ბელგიელებს გამოკეთებული დანიელ ვან ბუიტენი დაუბრუნდა, რომელიც ამ ზაფხულს „მანჩესტერ სიტიდან“ „ჰამბურგში“ გადავიდა. „კაენის“ ნახევარმცველი გრეგორი დუფერი კი დაშავებულია და გუნდს ვერ დაეხმარება.

მეკარე გეერტ დე ფლიგერის ტრავმის გამო თავის გამოჩენის შანსი ეძლევათ ერვინ ლემენსსა და ტრისტან პეერსმანს. დე ფლიგერს აქილევსის მყესი დაუზიანდა და ერთი სეზონის გამოტოვება მოუწევს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ირლანდია — ბულგარეთი

# სტოიჩკოვი მინუს ოთხით იწყებს

## კერიმ დაფდაფებს შემოჰკრა



ხრისტო სტოიჩკოვი

**ბულგარელთა** ახალი მწვრთნელი ხრისტო სტოიჩკოვი პირველ გამოცდას დუბლინში, ირლანდიასთან ამხანაგურ მატჩში ჩააბარებს. ევრო 2004-ზე მოთამაშე ნაკრებიდან მწვრთნელმა ოთხ ფეხბურთელს არ უხმო. ველიზარ დიმიტროვი, გეორგი ჩილიკოვი, კირილ კოტევი და ივაილო პეტკოვი ნაკრებს მიღმა დარჩნენ.

ირლანდიელებს ტრავმირებული ნახევარმცველი მეტ ჰოლანდი და მცველი ენდი ობრაიენი დააკლდებათ. „ჩარლტონის“ ლეგიონერი ჰოლანდი გასულ უქმეებზე „ბოლტონთან“ შეხვედრაში დაშავდა და ორკვირიანი მკურნალობა გამოუწერეს. სამაგიეროდ, მოყოჩაღდა დამიენ დაფი, რომელიც წინა სეზონში ტრავმებმა გატანჯა. ირლანდიელთა მწვრთნელი ბრაიან კერი იმედოვნებს, რომ დაფი კვლავ დაუბრუნდება ჩვეულ ფორმას. „ჯერჯერობით ბოლომდე მომჯობინებული ვერაა, მაგრამ თამაშის სურვილი აქვს — განაცხადა კერიმ — ექიმების ვარაუდით, მას მსოფლიოს ჩემპიონატის ორი შესარჩევი მატჩი უნდა გამოეტოვებინა, თუმცა სასიხარულოა, რომ ასე არ მოხდა. მთელი გუნდი ძალიან მონდომებულია და ვიმედოვნებ, შესარჩევ ციკლში წარმატებას მივაღწევთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მტაპი. ევროპა. I ჯგუფი

# გენერლის ლაზარეთი



კრისტიან კივუ

**მსოფლიოს** მომავალი ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩს რუმინეთი ფინეთთან დღეს გამართავს. რუმინელებს ძალიან ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი დაუგროვდათ. ნაკრების კაპიტანი კრისტიან კივუ ფეხმოტეხილია და ნოემბრამდე ბურთს ვერ გაეკარება. „ვულვერჰემპტონის" ფორვარდი იოან განეა საოპერაციოდაა გამზადებული და შესაძლოა, მთელი სეზონი გაუცდეს. მეორე თავდამსხმელი ნიკოლაე მიტეაც საექიმოა, ისევე როგორც დონეცკის „შახტარის" შემტევი ჩიპრიან მარიკა, რომელსაც ერთკვირიანი მკურნალობა სჭირდება. ანგელ იორდანესკუმ მარიუს ნიკულაე გამოიძახა, მაგრამ ავადმყოფობის გამო მისი თამაშიც საეჭვოა. გასულ უქმეებზე დაშავდა მოსკოვის „ტორპედოს" ნახევარმცველი კრისტიან დანჩია. იორდანესკუმ ნაკრებში პირველად უხმო ბუქარესტის „რაპიდის" მეგოლე საბინ ილიეს. 29 წლის ფეხბურთელის დებიუტი ფინეთთან შეხვედრაში შედგება. „პირველი მატჩის მოგება ძალიან მნიშვნელოვანია. მიუხედავად დიდი დანაკლისისა, მე მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობ" — განაცხადა რუმინელთა გენერალმა მწვრთნელმა.

ფინელებს იარი ლიტმანენი და მიკა ვეირინენი ჰყავდათ ტრავმირებული, მაგრამ სადღეისოდ ორივე მომჯობინდა. სტუმართა მწვრთნელმა, ანტი მურინენმა განაცხადა: „რუმინელებს ძალიან მაღალ ტემპში შეუძლიათ თამაში და საამისოდ უნდა მოვემზადოთ. გარკვეული ცვლილებების შეტანა აუცილებლად მომიწევს, რათა დაცვა უფრო გავაძლიერო". დაცვის გაძლიერება კი მურინენს ალბათ გაუჭირდება, რადგან „ანდერლეხტის" ლეგიონერი, ცენტრალური მცველი ჰანუ ტინენი და „ალკმაარის" ფლანგელი რეინი დაშავებულნი არიან. ნაკრებს ალბათ ვერ დაეხმარება „ოსერის" ნახევარმცველი ტეემუ ტაინიო.

ამავე ჯგუფში არიან ჰოლანდია, ჩეხეთი, სომხეთი, მაკედონია და ანდორა. ფინელთა მწვრთნელის აზრით, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი თითქმის არა აქვთ: „ცხადია, ძალიან გვსურს გერმანიაში გამგზავრება, მაგრამ ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ბრაზილიასავით ბევრი კარგი ფეხბურთელი არ გვყავს, რომ ყოველ მატჩში უძლიერესი შემადგენლობა ვათამაშოთ".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფრთხილად, სვენ!

## ბექემმა ერიქსონს დანა დაანახა



**დევიდ ბექემი** ამბობს, რომ სვენ გორან ერიკსონის წინააღმდეგ დანები ჯერ კიდევ შიშვლადაა. მართალია, ორი კვირის წინ ინგლისის ნაკრების შვედი მწვრთნელი საგანგებო საბჭოს გადაურჩა, თუმც ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციაში ჯერ კიდევ უნდა შეინარჩუნოს თავისი სამუშაო ადგილი.

და სწორედ ამას გრძნობს ნაკრების კაპიტანი ბექემი. ის ამბობს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი უახლოესი ორი თამაში ავსტრიასა და პოლონეთთან ერიკსონისთვის შესაძლოა გადამწყვეტი გამოდგეს.

მოგეხსენებათ, ინგლისელები ამხანაგურ შეხვედრაში უკრაინელებს უნდა შეხვდნენ და ბექემიც სწორედ ამ მიზეზით შეკრებილი გუნდის საწვრთნელ ცენტრში ესაუბრა ჟურნალისტებს. „ვიცი, დანები ჯერ კიდევ არ ჩაუგიათ — თქვა მან — თუ წარმატებას ვერ მივაღწევთ, გაგვაკრიტიკებენ და მიწასთან გაგვასწორებენ. ასეთია დღევანდელი მდგომარეობა და ჩვენც ასე უნდა განვეწყოთ. თუ მოვიგებთ, შეგვაქებენ და ეს ძალიან გვსიამოვნებს, მაგრამ თუ წავაგებთ, ლანძღვის გაძლების ვაჟკაცობაც უნდა მოვიკრიბოთ. მე, მაგალითად, გასულ სეზონში სულის სიმტკიცე მეყო. იმედი მაქვს, რომ ყოველივე იმის შემდეგ, რაც მის შესახებ ითქვა, სვენ გორან ერიკსონსაც ეყოფა ძალა, რათა ყველაფერს გაუძლოს".

მოგეხსენებათ, მადრიდის „რეალის" ვარსკვლავი ის ინგლისელი ფეხბურთელი გახლავთ, რომელმაც პირველმა და ღიად დაუჭირა მხარი მწვრთნელს სასიყვარულო და ბევრჯერ მონათხრობ სკანდალში გახვევის შემდეგ.

და, ალბათ, სწორედ დევიდ ბექემისა და მისი თანაგუნდელების მხარდაჭერის ბრალი იყო, რომ ზემოხსენებულმა საგანგებო კომისიამ თანამდებობიდან ვერ გაათავისუფლა.

**პაპუნა ძიძია**

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა. II ტური

სლავია 1:0 ლიბერეცი

სლოვაცკო 1:0 სიგმა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრნო | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| სპარტა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| პრჟიბრამი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| სინოტი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ტეპლიცე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ზლინი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ოპავა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სიგმა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| მლადა ბოლესლავი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| სლავია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ბანიკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ბუდეიოვიცე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| იაბლონეცი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ლიბერეცი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბლშანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| დრნოვიცე | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი. III ტური

სედანი 3:0 გენგამი

1:0 საბინი (20), 2:0 მორო (45), 3:0 საბინი (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სედანი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| გრენობლი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| რეიმსი | 2 | 2 | 0 | | | |
| | 0 | 4:1 | 6 | | | |
| ბრესტი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| გენიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ტრუა | 2 | 1 | 1 | 0 | 6:5 | 4 |
| ლორიანი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| მონპელიე | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ლე ავრი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| კრეტეი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ნიორი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ლავალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| დიჟონი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| შატორუ | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ამიენი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ლე მანი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ანჟე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| კლერმონი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ნანსი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |
| გენგამი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:9 | 0 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. II ტური

კოტბუსი 2:1 დინამო

1:0 ტურკი (4), 1:1 კენედი (45), 2:1 მოხტარი (55)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუე | 2 | 2 | 0 | 0 | 8:2 | 6 |
| ფიურტი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ბურგჰაუზენი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ერფურტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| აინტრახტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| კოტბუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| დუისბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ობერჰაუზენი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ტრირი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ალემანია | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| უნტერჰახინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| კარლსრუე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ალენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| მიუნხენი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| კიოლნი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ესენი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | 1 |
| ზაარბრიუკენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XIX ტური

ტამპერე — ტპ 47 3:2; ჰიკ — ინტერი 0:1; ლაჰტი — ჯაზი 4:0; მიუპა — როვანიემი 1:2; ტურკუ — კტპ 1:0; როვანიემი — იარო 0:2; ალიანსი — მიუპა 0:3; ჰამენლინა — ჰაკა 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 18 | 12 | 4 | 2 | 37:10 | 40 |
| ტურკუ | 18 | 10 | 3 | 5 | 27:20 | 33 |
| ინტერი | 18 | 10 | 2 | 6 | 34:26 | 32 |
| ტამპერე | 17 | 9 | 3 | 5 | 28:16 | 30 |
| ჰიკ | 18 | 7 | 8 | 3 | 28:19 | 29 |
| მიუპა | 19 | 8 | 5 | 6 | 24:21 | 29 |
| ალიანსი | 17 | 8 | 4 | 5 | 20:19 | 28 |
| ლაჰტი | 19 | 6 | 9 | 4 | 25:23 | 27 |
| კტპ | 18 | 7 | 5 | 6 | 24:21 | 26 |
| ტპ 47 | 20 | 7 | 4 | 9 | 30:30 | 25 |
| როვანიემი | 21 | 5 | 4 | 12 | 20:38 | 19 |
| ჯაზი | 19 | 4 | 5 | 10 | 26:43 | 17 |
| იარო | 19 | 4 | 2 | 13 | 20:37 | 14 |
| ჰამენლინა | 19 | 1 | 6 | 12 | 20:40 | 9 |

## ფეხბურთის რუკასთან

**რუსულ** „სპარტაკში" შესაძლოა რიკარდო ლუის პოცი როდრიგესი, იგივე რიკარდინიო ვიხილოთ. თუმცა მოსკოველებს სერიოზული კონკურენტი ჰყავთ. იტალიური „რომა" 28 წლის ბრაზილიელში ემერსონის შემცვლელს ხედავს. საინტერესოა, რომ რიკარდინიოს ერთხელ უკვე მოუწია ემერსონის შეცვლა და მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა. შეგახსენებთ, რომ 2002 წლის ზაფხულში ამ უკანასკნელმა მხარი ამოიგდო და რიკარდინიოსაც მის ნაცვლად უხმეს ეროვნულ გუნდში. 28 წლის ნახევარმცველი ამჟამად „სანტოსის" ღირსებას იცავს.

**ხორვატ** ფორვარდ დადო პრსოს ტრავმა არც ისე სერიოზული აღმოჩნდა, როგორც ექიმები თავიდან ვარაუდობდნენ. მართალია, იგი ეროვნულ ნაკრებს ისრაელის წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში ვერ დაეხმარება, მაგრამ ცეესკასა და „რეინჯერსის" საპასუხო მატჩისთვის წესით, ჯანზე უნდა იყოს. „კიდევ რამდენიმე დღეს მომიწევს უქმობა, მაგრამ არა უშავს. მთავარია, რუსების წინააღმდეგ თამაშს შევძლებ. ეს ჩვენთვის სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრაა" — აღნიშნა „ჩაფრების" თავდამსხმელმა.

**ბელარუსმა** ალექსანდრ გლებმა „შტუტგარტთან" 2008 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი. ამით ორივე მხარე ძალიან კმაყოფილია, განსაკუთრებით კი გერმანული კლუბი, რომლის უფროსობასაც ბელარუსის შენარჩუნება ძალიან სურდა. „აქ თავს მშვენივრად ვგრძნობ. ჩვენ პერსპექტიული და ახალგაზრდული გუნდი გვყავს, რომელთან ერთადაც წინსვლა შემიძლია" — თქვა 23 წლის ნახევარმცველმა. შეგახსენებთ, რომ იგი 2000 წელს გადაბარგდა „შტუტგარტში" და უკვე დიდი ხანია, კლუბის ერთ-ერთ ლიდერად იქცა.

**პორტუგალიურმა** „პორტუმ" ახალგაზრდა ფორვარდს, დავიდ ალეშანდრე პინტუ დიასს დაადგა თვალი. ეს უკანასკნელი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად არის მიჩნეული. „დრაკონები" მზად არიან, 21 წლის თავდამსხმელის სანაცვლოდ „ამადორას" ჰიუგო ლუისი და ფრედერიკ როდერსტორმი დაუთმონ.

**ინგლისური** „არსენალი" აპირებს, „რეალს" უჩივლოს, რათა მადრიდელები პატრიკ ვიეირას კლუბის ზურგს უკან შეცდენის მცდელობის გამო ფიფამ დასაჯოს. „წესები იმისთვის არსებობს, რომ ისინი დაიცვან — განაცხადა „მეთოფეთა" ვიცე-პრეზიდენტმა დევიდ დინმა, თუმცა მერე დააყოლა — ვიეირამ გამოგვიცხადა, „რეალში" გადასვლა მინდაო, მაგრამ როცა თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, თქვა, მშობლიურ კლუბს ვერ დავტოვებო".

**შოტლანდიური** „რეინჯერსი" სავარაუდოდ ალექს რაეს დისკვალიფიკაციას გაასაჩივრებს. როგორც იცით, უეფამ რაეს არასპორტული საქციელისთვის ხუთმატჩიანი უქმობა მიუსაჯა. „ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ შანსებს და საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მივიღებთ. ვფიქრობ, აპელაციის შეტანა მაინც ღირს, უკიდურეს შემთხვევაში, დისკვალიფიკაციის შემცირების იმედი გვაქვს" — თქვა „ჩაფრების" დირექტორმა მარტინ ბინმა.

**არგენტინელ** ნახევარმცველ ანდრეს დალესანდროთი მოსკოვის „სპარტაკი" და ლა კორუნიის „დეპორტივო" არიან დაინტერესებულნი. ცნობილია, რომ რუსული კლუბი ფეხბურთელში 15 მილიონ ევროს არ იშურებს, თუმცა გერმანული „ვოლფსბურგის" მენეჯერმა თქვა — დალესანდროს გაყიდვას არ ვაპირებთ და იგი კვლავ „მგლებში" დარჩებაო. თავად არგენტინელი ამჟამად ათენში იმყოფება და ოლიმპიადაზე თამაშობს.

**შოტლანდიურმა** „სელტიკმა" გასული სეზონის ფინანსური ანგარიში გამოაქვეყნა. როგორც გაირკვა, შარშან კლუბმა 7,5 მილიონი გირვანქა დაკარგა, ხოლო სულ „კელტების" ვალი 15,8 მილიონს შეადგენს. მიუხედავად ამისა, ეს ერთგვარ პროგრესადაც კი ჩაითვალა, რადგანაც „სელტიკის" დანაკარგი შარშანწინდელ სეზონში გაცილებით მეტი იყო (11,7 მილიონი). კლუბს ეს „წარმატება" ევროტურნირებზე კარგმა თამაშმა მოუტანა.

**რუსეთის** ნაკრების თავკაცმა გეორგი იარცევმა ლიტვასთან ამხანაგური მატჩის წინ პრესკონფერენცია მოაწყო. იარცევმა აღნიშნა, რომ ყველა მოითხოვს რუსეთის 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაყვანას და მისი ამოცანაც სწორედ ეს არის — რუსეთი აუცილებლად წავა გერმანიაში.

გაგრძელება. დასაწყისი „სარბიელი" №189



# ...და ან ცაზე ვარსკვლავები

# კარლ-ჰაინც რუმენიგე

„ბაიერნმა" 1974 წელს მიიწვია. ნუ, ცხადია, თუკი „ბაიერნმა" მიიწვია, ესე იგი, მრავლად იყვნენ სხვა მთხოვნელებიც, მაგრამ მიუნხენის დიადი გუნდის წინადადება განსაკუთრებულად ჟღერდა. მამა ჰაინრიხ რუმენიგესთან საგანგებოდ კლუბის ტექნიკური დირექტორი მაქს მერკელიც კი ჩავიდა... და თუმცა, იცით, რას გეტყვით? „ბაიერნი" სახელის, დიდების და კარიერის გარდა ჯიბისთვის იყო ძალიან კარგი — თვეში 8 ათასი მარკა პლუს პრემია რუმენიგეების ოჯახს ნამდვილად არ აწყენდა.



## გაუმარჯოს იაფ რუმენიგეს

### ბრმა ნაწლავი და ნათელი სოლჟენიცინი

ოღონდ კალესთვის მთავარი მაინც დიდ ფეხბურთთან ზიარება გახლდათ. დიდი ფეხბურთი დიდ კლუბში კიდევ ერთი სიურპრიზით დამშვენდა: გაირკვა, რომ მენეჯერ შვანს რუმენიგესთვის სინამდვილეში გაცილებით დიდი ხელფასი დაუნიშნავს, ვიდრე 8 ათასია. ეს სხვა ახალწვეულთა ჯამაგირი ყოფილა.

და შეგახსენებთ, რომ იდგა 1974 წელი, როდესაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

...ისინი შვებულებიდან, ბუნებრივია, გვიან დაბრუნდნენ. ბეკენბაუერი, მაიერი, მიულერი, ბრაიტნერი, ჰიონესი და შვარცენბეკი ავტობუსით მაშინ მიადგნენ ჰერცოგენაურახეს ბაზის კარს, როდესაც „ბაიერნი" ადგილობრივ გუნდთან ამხანაგურ თამაშს აპირებდა. ისინი საქმეში ჩაერთნენ და... რომ არა მეორე ტაიმში შესული კარლ-ჰაინც რუმენიგეს მოწადინება, იქნებ 3:3 ვერც მოეხერხებინათ.

— ყოჩაღ, ბიჭო! — შეაქო გერდ მიულერმა, როდესაც კალესგან საგოლე პასი მიიღო.

— ჩვენ მარჯვენა ფრთაზე გვჭირდება კაცი. იცოდე, ახლა შენი შანსი დგება და ხელიდან არ გაუშვა — ჭკუა დაარიგაული ჰიონესმა, როდესაც ოთახში მარტონი დარჩნენ. დიახ, რუმენიგე, ჰიონესთან გაამწესეს ოთახში.

შემდეგ ლოყებწითელა შეარქვეს — მორცხვი ყოფილა. თვითონ თავს ასე იმშვიდებდა: თუ მეტსახელი შემარქვეს, ესე იგი, მამჩნევენო.

„ვერდერთან" ამხანაგური თამაში „ბაიერნმა" 12:0 მოიგო და ამ თორმეტიდან თერთმეტი გერდ მიულერმა გაიტანა. მეთორმეტე გოლის ავტორი კი თქვენ სწორად გამოიცანით: ის კარლ-ჰაინც რუმენიგე გახლდათ.

...მოახლოვდა ჩემპიონატი, პირველი მატჩი „ბაიერნს" „კიკერსთან" მოუწია. მოხდა ისე, რომ ამ მატჩის წინა დღეებში მიუნხენელებს როტი, დიურნბერგერი და ტორსტენსონი დაუშავდათ. ერთი სიტყვით, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, იმ საღამოს კალესთან მწვრთნელი, უდო ლატეკი მივიდა და უთხრა: „კარგად გამოიძინე, ხვალ ითამაშებ!" ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ რუმენიგემ, რასაკვირველია, ერთი წამითაც ვერ მოხუჭა თვალი, მთელი ღამე თეთრად გაათენა. გონებაში დაუსრულებლად უტრიალებდა თავისი მომავალი ორთაბრძოლა „კიკერსის" მცველთან, რომლის გვარიც ფასი გახლდათ, ხოლო დილით, სასტუმროს ჰოლში, ნანერვიულებს ახალი ნერვების შლა დაემატა — მიულერის გვერდით მიდიოდა, როდესაც ვიღაც თავხედმა, ამბობენ, რომ ადგილობრივმა ჟურნალისტმა მიულერს გასძახა:

— გერდ, ავტოგრაფების მოყვარულთან ერთად მოდიხარ? იცნობ მაინც ვინ არის?

— კარგად დაიმახსოვრე ეს ბიჭი. მისი გვარი რუმენიგეა. ამ გვარს ძალიან ბევრჯერ გაიგებ — მიუგო ფორვარდმა.

ხოლო „კიკერსთან" „ბაიერნმა"... 0:6 წააგო. ოღონდ, როგორც კალე იგონებს, თვითონ საკმაოდ კარგად ითამაშა.

„0:1-ზე გოლი რომ გამეტანა, იქნებ ყველაფერი სულ სხვანაირადაც წასულიყო. მახსოვს, ჰადევიტმა ჩააწოდა და მეც, დასარტყმელად შევიმართე, რომ მოულოდნელად ვუნდერის ხმა გავიგონე: „გაატარე!" ამ შეძახილმა დამაბნია. მართალია, მაინც დავარტყი, მაგრამ ცუდად და მეკარემ აიღო".

ასე და ამგვარად, კარლ-ჰაინც რუმენიგეს პირველი ოფიციალური მიუნხენური გოლის გადადება მოუხდა. ეს ამბავი, მოგვიანებით, თასზე, „შტუტგარტთან" შეხვედრაში მოხდა, როდესაც რაინერ ცებელის ჩაწოდებული ბურთი გაუჩერებლად ჰაარჭო იმ ადგილას, საბჭოთა კავშირში ცხრიანს რომ ეძახდნენ.

და გაზეთში ქება-დიდება გამოჩნდა: [illegible] „ბაიერნს" ნამდვილი [illegible] ნგელი გამოუჩნდა". „გაუმარჯოს ძვირი ვუნდერი, გაუმარჯოს იაფ რუმენიგეს". საქმე ის გახლავთ, რომ ვუნდერის ფასი 700 ათასი მარკა გახლდათ, რუმენიგესი — 17 500!

„ბაიერნს" იმავე პერიოდში „ლაციოსთან" კომერციული თამაში დაუგეგმეს. მიუნხენელები რომს უნდა წვეოდნენ და „ოლიმპიკოზე" საჩვენებლად გაეგორებინათ ბურთი. ასეც მოხდა, ოღონდ... კალეს გარეშე. კალე რომში კი ჩაფრინდა, მაგრამ „ოლიმპიკოს" ნაცვლად საავადმყოფოში მოხვდა, რადგან თვითმფრინავში ბრმა ნაწლავმა შეუტია. „ბაიერნის" ექიმმა, რიჩი მიულერმა დაუყოვნებლივ მიაგნო იტალიის დედაქალაქის საუკეთესო ქირურგს, ხოლო შვანცა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, რომ კლუბის მენეჯერი გახლდათ, რომში ასაგროვებელი თუ აგროვებული 130 ათასიდან 10 გაიღო და ბიჭს არაფერი მოაკლოთო, ბრძანა.

ბიჭს ოპერაცია გაუკეთეს და დააწვინეს, მაგრამ რა ექნა? რაიმე წიგნი მიშოვნეო, უთქვამს ექიმი მიულერისთვის, რომელსაც რაიმე გერმანული წიგნის ძებნაში მთელი რომი მოურბენია და ერთადერთი რაც უნახავს რუსი მწერლის, სოლჟენიცინის „არქიპელაგ გულაგი" ყოფილა.

ასე გაიგო „ბაიერნის" ფეხბურთელმა, რომ მხეცები მხოლოდ გერმანელი ნაცისტები არ ყოფილან, თურმე არც რუსი კომუნისტები აკლებდნენ.

**პაპუნა ძიძია**

**დასასრული ხვალინდელ „სარბიელში"**



1974-75 წლების „ბაიერნი"

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ავსტრია. ბუნდესლიგა. V ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 21 აგვისტო | | | | | | |
| 21.30 | 291 | გრაცერი-პაშინგი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| 21.30 | 292 | რაპიდი-მატერსბურგი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 21.30 | 293 | ზალცბურგი-ადმირა | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 21.30 | 294 | ტიროლი-შტურმი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | 22 აგვისტო | | | | | | |
| 21.15 | 295 | ბრეგენცი-ავსტრია | 3,6 | 3,3 | 1,85 | 1,72 | 1,22 | 1,18 |

**ნორვეგია. ტიპელიგა. XVIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 21 აგვისტო | | | | | | |
| 20.30 | 366 | რუსენბორგი-ტრომსიო | 1.45 | 3,8 | 6,5 | 1,04 | 1,18 | 2,39 |
| | | 22 აგვისტო | | | | | | |
| 20.00 | 367 | ლინი-ჰამარი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 20.00 | 368 | ბოდიო გლიმტი-სტაბეკი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 20.00 | 369 | ვიკინგი-ვოლერენგა | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 20.00 | 370 | ფრედრიკსტადი-ოდ გრენლანდი | 2,6 | 3,3 | 2,35 | 1,45 | 1,23 | 1,37 |
| 22.05 | 371 | ბრანი-სოგნდალი | 1,55 | 3,6 | 5,3 | 1,08 | 1,19 | 2,14 |
| | | 23 აგვისტო | | | | | | |
| 21.00 | 372 | ლილესტრიომი-მოლდე | 1,55 | 3,6 | 5,3 | 1,08 | 1,19 | 2,14 |

**ნორვეგია. I დივიზიონი. XIX ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 22 აგვისტო | | | | | | |
| 20.00 | 375 | ჰიოდი-კონგსვინგერი | 2,2 | 3,8 | 2,45 | 1,39 | 1,15 | 1,48 |
| 20.00 | 376 | მანდალი-ალესუნდი | 3,3 | 4,0 | 1,75 | 1,8 | 1,14 | 1,21 |
| 20.00 | 377 | პორს გრენლანდი-ჰაუგესუნდი | 2,0 | 3,8 | 2,8 | 1,31 | 1,16 | 1,61 |
| 20.00 | 378 | რაუფოსი-სტარტი | 3,3 | 4,0 | 1,75 | 1,8 | 1,14 | 1,21 |
| 20.00 | 379 | სანდეფიორდი-მოსი | 1,4 | 4,2 | 6,0 | 1,04 | 1,13 | 2,47 |
| 20.00 | 380 | სტრიომსგოდსეტი-სკეიდი | 1,6 | 3,8 | 4,4 | 1,12 | 1,17 | 2,03 |
| 20.00 | 381 | ტრომსდალენი-ჰიონეფოსი | 3,4 | 4,2 | 1,7 | 1,87 | 1,13 | 1,21 |
| 20.00 | 382 | ვარდ ჰაუგესუნდი-ბრინი | 3,1 | 3,8 | 1,85 | 1,7 | 1,15 | 1,24 |

**ბრაზილია. სერია A. XXV ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 03.30 | 498 | კრუზეირო-გოიასი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 03.30 | 499 | ფიგეირენსე-ატლეტიკო პრ | 2,25 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,26 | 1,49 |
| 03.30 | 500 | გრემიო-ჟუვენტუდი | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,35 | 1,24 | 1,41 |
| 03.30 | 501 | პალმეირასი-ინტერნასიონალი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 03.30 | 502 | პარანა-ვიტორია | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,21 | 1,67 |
| 03.30 | 503 | სან კაეტანო-გუარანი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 04.50 | 504 | პონტე პრეტა-ფლამენგო | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 04.50 | 505 | ბოტაფოგო-სანტოსი | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,47 | 1,26 | 1,32 |
| 04.50 | 506 | პაისანდუ-კორონთიანსი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,32 | 1,26 | 1,47 |
| | | 19 აგვისტო | | | | | | |
| 03.30 | 507 | კურიტიბა-ფლუმინენსე | 1,8 | 3.2 | 3.8 | 1,15 | 1.22 | 1,73 |
| 03.30 | 508 | სან პაულუ-კრიკიუმა | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 03.30 | 509 | ვასკუ და გამა-ატლეტიკო მნ | 1.9 | 3,2 | 3,5 | 1.19 | 1.23 | 1,67 |

**აშშ. MLS**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 03.30 | 552 | კოლამბუსი-კანზასი | 2,3 | 3,0 | 2,9 | 1,3 | 1,28 | 1,47 |

**იტალია. თასი. I ეტაპი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 19.00 | 600 | აკირეალე-კროტონე | 3,1 | 2,7 | 2,3 | 1,44 | 1,32 | 1,24 |

**იტალია. სუპერთასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 21 აგვისტო | | | | | | |
| 23.00 | 619 | მილანი-ლაციო | 1,6 | 3,4 | 5.0 | 1,08 | 1,21 | 2.02 |

**ესპანეთი. სუპერთასი. I მატჩი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 21 აგვისტო | | | | | | |
| 23.00 | 620 | სარაგოსა-ვალენსია | 2,8 | 3,1 | 2.35 | 1,47 | 1,27 | 1,33 |

**პორტუგალია. სუპერთასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 20 აგვისტო | | | | | | |
| 24.00 | 621 | პორტუ-ბენფიკა | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |

**მჩ შესარჩევი მატჩები**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 21.30 | 626 | რუმინეთი-ფინეთი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2.21 |
| 22.00 | 627 | მაკედონია-სომხეთი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 22.15 | 628 | ლიხტენშტაინი-ესტონეთი | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,46 | 1,16 | 1,02 |
| 22.15 | 629 | სლოვაკეთი-ლუქსემბურგი | 1,02 | 8,0 | 25,0 | 1 | 1 | 6.06 |

**ამხანაგური მატჩები**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 14.00 | 630 | იაპონია-არგენტინა | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,57 | 1,26 | 1,25 |
| 18.00 | 631 | ფარერის კუნძულები-მალტა | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 19.00 | 632 | რუსეთი-ლიტვა | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3.04 |
| 19.00 | 633 | ლატვია-უელსი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,25 | 1,26 | 1,57 |
| 20.00 | 634 | მოლდოვა-საქართველო | 2,1 | 2,8 | 3,1 | 1,19 | 1,25 | 1,47 |
| 21.00 | 635 | პოლონეთი-დანია | 2,35 | 3,1 | 2,7 | 1,33 | 1,25 | 1,44 |
| 21.00 | 636 | თურქეთი-ბელარუსი | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 21.00 | 637 | ნორვეგია-ბელგია | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,25 | 1,26 | 1.57 |
| 22.00 | 638 | შვედეთი-პოლანდია | 2,4 | 3.0 | 2,7 | 1.33 | 1,27 | 1,42 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.10 | 639 | სლოვენია-სერბეთი | 2,35 | 3,1 | 2,7 | 1,33 | 1,25 | 1,44 |
| 22.15 | 640 | ხორვატია-ისრაელი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 22.15 | 641 | ჩეხეთი-საბერძნეთი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 22.15 | 642 | შვეიცარია-ჩრდ.ირლანდია | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 22.30 | 643 | ირლანდია-ბულგარეთი | 1,7 | 3,2 | 4,6 | 1,11 | 1,24 | 1,88 |
| 22.45 | 644 | ინგლისი-უკრაინა | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 22.45 | 645 | ავსტრია-გერმანია | 3,4 | 3,1 | 2,0 | 1,62 | 1,25 | 1,21 |
| 23.00 | 646 | საფრანგეთი-ბოსნია | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 23.00 | 647 | შოტლანდია-უნგრეთი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 23.00 | 648 | ისლანდია-იტალია | 6,0 | 3,3 | 1,55 | 2,12 | 1,23 | 1,05 |
| 24.00 | 649 | ესპანეთი-ვენესუელა | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |

ფეხბურთი. ოლიმპიური თამაშები. ათენი

18 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 657 | პარაგვაი-იტალია | 3,6 | 3,2 | 1,85 | 1,69 | 1,22 | 1,17 |
| 21.30 | 658 | იაპონია-განა | 4,4 | 2,0 | 1,85 | 1,37 | 1,3 | 1 |
| 21.30 | 659 | კოსტა რიკა-პორტუგალია | 5,3 | 3,5 | 1,5 | 2,1 | 1,16 | 1,04 |
| 21.30 | 660 | მაროკო-ერაყი | 1,8 | 3,5 | 2,5 | 1,18 | 1,04 | 1,45 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი
TELCREDITI

10

42 00 24

+%


CROCO BOOKMAKERS კროკო

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპიკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არ იარო ბურთის ჭკუაზე!



ჟირესმა ნაკრების კარი გიორგი ლომაიას ანდო

გუშინდელი დღე საქართველოს ნაკრებისთვის საკმაოდ დატვირთული გამოდგა. 10 საათზე გუნდი უკვე დილმის საწვრთნელ ბაზაზე იყო და სამოლდავოდ ბოლო ვარჯიშს ატარებდა. თბილისში მყოფ თოთხმეტ ფეხბურთელს კახა კალაძე, დავით მუჯირი, ალექსანდრე იაშვილი და ლევან ცქიტიშვილი მოგვიანებით შეუერთდნენ და მათაც ისევე ინტენსიურად ივარჯიშეს, როგორ დანარჩენებმა. ვარჯიშისას გოჩა ჯამარაულს წელი წამოსტკივდა, თუმც, როგორც გაირკვა, სერიოზული არაფერია, ჯამარაული მსგავს ტკივილებს თებერვლიდან უჩივის, მაგრამ მაღალ დონეზე თამაშს მაინც ახერხებს. ჟირესი დიდ დატვირთვებს მოერიდა, რამდენიმე კომბინაცია დაამუშავებინა ფეხბურთელებს. თვალშისაცემი იყო ზონების დაზლვევა, გრძელი, დიაგონალური პასები ფლანგზე, საიდანაც ბურთი ერთი შეხებით საჯარიმოსკენ იგზავნებოდა.

ბოლოს ფეხბურთელებმა მეკარეებიც დაბომბეს, მე კი გავრისკავ და გუშინდელი ვარჯიშის შემხედვარე, იმ შემადგენლობას ვივარაუდებ, რომელიც დღეს მოლდოვასთან მატჩს დაიწყებს: *გიორგი ლომაია, კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, დავით ქიქვეიშვილი, ლევან კობიაშვილი, გოჩა ჯამარაული, დავით მუჯირი, ლადო ბურდული, ლევან ცქიტიშვილი, გიორგი დემეტრაძე, ალექსანდრე იაშვილი ან რატი ალექსიძე.*

ვარჯიშმა დაახლოებით საათს გასტანა, 14 საათზე კი ალენ ჟირესი ისევ შეხვდა ჟურნალისტებს და გუნდის მზადყოფნაზე ისაუბრა...



მხიარული კაცი: გიორგი დემეტრაძე



რა დროს ეს იყო... ლევან კობიაშვილს კბილი წამოსტკივდა

## თურქებთან მოგებას 645 ათასი ლარი დაედო

...მოლდოვაში გამგზავრებამდე ბოლო ვარჯიში გვქონდა, ტაქტიკურ მოქმედებათა რამდენიმე ვარიანტი დავამუშავეთ. მოლდოვაში აღარ ვივარჯიშებთ, მხოლოდ თეორიული მეცადინეობით შემოვიფარგლებით. ამას ის გრაფიკი გვაიძულებს, რომელშიც აღმოვჩნდით. კიშინიოვში ჩავალთ და იქ დავბინავდებით, თამაში კი ტირასპოლშია. გზაში ერთი საათი გვეხარჯება, რაც ვარჯიშს შეუძლებელს ხდის. თურქეთში სულ სხვანაირი სიტუაცია იქნება, ვინაიდან პროგრამას იქ ჩვენ შევადგენთ. თამაშის დღეს, დილით კიშინიოვის ქუჩებში გავისეირნებთ, რათა ფეხბურთელებს მგზავრობით გამოწვეული დაძაბულობა მოეხსნათ.

...ვარჯიში ამ ეტაპისთვის ნორმალური დატვირთვით ჩატარდა. გუშინ შემოერთებულმა ფეხბურთელებმაც ივარჯიშეს. საბედნიეროდ, დამატებით პრობლემებს გადავურჩით და მოლდოვაში წამომსვლელი თვრამეტივე ფეხბურთელი ჯანმრთელადაა, გუნდიც მთლიანობაში მზადაა სათამაშოდ და იმ პასუხისმგებლობის ასაღებად, რაც მათ აკისრიათ.

...მცირე დაღლილობა კი იგრძნობა, მაგრამ ეს უფრო მგზავრობითაა გამოწვეული. სეზონი ყველგან ახალი დაწყებულია და სხვა სახის გადაღლილობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ფიზიკურად ლეგიონერები უფრო უკეთ გამოიყურებიან, ვიდრე ეროვნული ჩემპიონატიდან მოსული ფეხბურთელები.

...გუნდი ამჯერად სხვაგვარი სისტემით მოვამზადე. თამაშს დავიწყებ 4-4-2-ით, მაგრამ მატჩის მსვლელობისას ფეხბურთელებმა უნდა შეძლონ 3-5-2 ან 5-3-2-ზე გადაწყობა. ეს რევოლუციური ცვლილება არ იქნება, უბრალოდ, მომეცემა საშუალება, უკეთ დავინახო, რამდენად შესწევთ ფეხბურთელებს თამაშისას ტაქტიკური გადაადგილებები. ჩვენ ხომ საკუთარი სტილის და თამაშის ძიებაში ვართ. ევროპაში არიან ნაკრებები, რომლებიც წლების განმავლობაში აპრობირებულ სათამაშო სტილს იყენებენ. მაგალითად, ჩვენი მეტოქე დანიის ნაკრები კლასიკურ 4-4-2-ით თამაშობს, ვინაიდან ეს გუნდი უაღრესად დისციპლინირებულია.

...არის თამაშისწინა ტაქტიკა, რომელსაც უშუალოდ მეტოქეებისთვის ვირჩევ. როცა მატჩი იწყება, ორი შესაძლო სცენარია მოსალოდნელი: გოლს ან გავიტანთ ან გაგვიტანენ. გუნდი ორივე შემთხვევისთვის მზად უნდა იყოს. ტაქტიკური გადაადგილებებიც ამიტომ ვახსენე. ბუნებრივია, უფრო იოლი სათამაშოა, როდესაც ანგარიში მიგყავს. ამ შემთხვევაში ტაქტიკურ გადახალისებას ფსიქოლოგიური უპირატესობაც ახლავს.

...ზედმეტი წონის პრობლემას ჯერ არ შევხვედრივარ, არა, შემეშალა, გია გურულია დამძიმებული. ხუმრობა იქით იყოს, მე წონას გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, მთავარია, ფეხბურთელი სასურველ ფორმაში იყოს და დავალებები შემისრულოს.

...სწრაფად თამაშს მართლაც ვთხოვ ჩემს ბიჭებს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ 90 წუთის განმავლობაში ბურთის ტემპს აჰყვნენ. ყოველივე კონკრეტულ მომენტზე იქნება დამოკიდებული. ერთიც არის, ბურთი უფრო სწრაფია და ის არც იღლება.

...ჩემთვის უკეთესია, თუ მოლდოვის ნაკრები მძიმე ბრძოლას გაგვიმართავს, ვინაიდან ამ თამაშის შემდეგ თურქეთი გველის და უნდა ვიცოდე, რამდენად მზად არიან ჩემი ბიჭები ბრძოლისთვის.



...საქართველოს ნაკრებს მართლაც კარგი ფორვარდები ჰყავს. ისინი კარგ ფორმაში არიან. თქმა არ უნდა, რომ მათგან გოლების გატანას მოვითხოვთ, მაგრამ მათ ამის საშუალება მთლიანად გუნდმა უნდა მისცეს.

...არ შევმცდარვარ, ჯაკობია რომ გამოვიძახე. ჯერ ერთი, იგი ჩინებულად ლაპარაკობს ფრანგულად. თანაც, როდესაც არსებობს ისეთი ფორვარდი, როგორიც ჯაკობიაა, მე მას უნდა ვიცნობდე და საქმეში მყავდეს ნანახი. შესარჩევ ჯგუფში 12 მატჩი გვაქვს გასამართი და ამ თორმეტი შეხვედრის სიმძიმე მხოლოდ თვრამეტ ფეხბურთელზე ვერ გადაივლის. ჩემი თვალთახედვის არეში მეტი ფეხბურთელი უნდა იყოს — 30 მაინც. ურეზერვოდ წარმატებაზე ფიქრი წარმოუდგენელია.

...მეკარეებში ახლა პირველ ნომრად ლომაიას მივიჩნევ. შემდეგ დევაძეს აქვს ყველაზე კარგი შანსი. თუმც არც სტურუას, ზოიძესა და მამალაძის სანაკრებო პერსპექტივას გამოვრიცხავ. გარდა ამისა, ვიცი, რომ უკრაინაში თამაშობს ჭანტურია, ხოლო ფინეთში ნიკურაძე. ასე რომ, საქართველოს ნაკრებს მეკარის პრობლემა არ აქვს.

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშემ ეკა გაბაშვილმა გვამცნო, რომ თურქეთში მოგებისთვის ნაკრები 645 ათას ლარს მიიღებს, ფრისთვის კი 260 ათასს.

საქართველოს ეროვნული ნაკრები გუშინ 17 საათზე გაემგზავრა კიშინიოვში.

**დავით ერაძე**

# რეპეტიცია სეპარაციაში

## ქირესი ნაკრებს სქემას უცვლის

კოBა ინასარიძე

კიშინიოვიდან



საქართველოს ნაკრები კიშინიოვში 18 ფეხბურთელით ჩამოფრინდა, რომლებმაც გუშინ დაისვენეს და დღეს აქედან 70 კილომეტრის სავალზე დნესტრისპირეთის დედაქალაქ ტირასპოლს მიაშურებენ. უფრო გასაგები რომ იყოს და როგორც ჩემმა ძველმა მოლდოველმა მეგობარმა-კოლეგამ მირონ გოიხმანმა მითხრა, დნესტრისპირეთი მოლდოვისთვის იგივეა, რაც საქართველოსთვის აფხაზეთიო. თუმც მოლდოვა-დნესტრისპირეთსა და საქართველო-აფხაზეთს შორის კონფლიქტებს სხვადასხვა ფორმა და დოზა აქვთ. მაგალითად, დნესტრისპირეთის ორი გუნდი, ტირასპოლის „შერიფი“ და „ტირასპოლი“ მოლდოვის ჩემპიონატში თამაშობენ, საუკეთესოებიც არიან და საერთაშორისო სარბიელზე მოლდოვის დროშით გამოდიან. თუმც წითელ-ყვითელ-ლურჯი დროშის ფრიალი მაინცდამაინც არ სიამოვნებთ. ტირასპოლში „შერიფის“ სტადიონი მოლდოვაში ერთადერთია, რომელიც უეფას სტანდარტებს პასუხობს და ეროვნული გუნდიც იძულებულია, საერთაშორისო მატჩები იქ ჩაატაროს, თუმც საამისოდ დნესტრისპირეთის მთავრობის, პირადად პრეზიდენტის ნებართვა სჭირდება. დნესტრის გადაღმა გადასასვლელად კი საბაჟო-საპასპორტო კონტროლია საჭირო, როგორც გვითხრეს, დაახლოებით 15-20-წუთიანი პროცედურა. თუმცა, ქართველებს პრობლემა არ გექნებათო, დაგვაიმედეს. ახლა, მოლდოვაში საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოების გამო, ვითარება ცოტა დაძაბული კია, რაც დნესტრისპირეთშიც იგრძნობა, კრიმინალებიც გააქტიურებულან, მაგრამ საფეხბურთო თვალსაზრისით აქ მშვიდობა ყოფილა. დნესტრისპირეთს საკუთარი ვალუტაც კი ჰქონია, არა რუსული და, სიტყვაზე, რუმინული, მკვიდრი, დნესტრისპირული და ამიტომაც კიშინიოვში გვირჩიეს, ფულს აქ მთლიანად ნუ გადაახურდავებთო. და კიდევ ერთი, ტირასპოლის „შერიფის“ ქართველები ვაჟა თარხნიშვილი და მურთაზ ბურნაძე დნესტრისპირეთში ისეთი პოპულარულები არიან, ქართველებს დიდი ზარზეიმით შეგვხდებიანო, ესეც გვითხრეს. ვნახოთ.

დღევანდელი ამხანაგური მატჩისთვის ალენ ჟირესს ძირითადი შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია, მაგრამ ერთი კი გვითხრა, რომ მოლდოვასთან თამაშს ის თურქეთისთვის სარეპეტიციოდ გამოიყენებს. ჟირესი დღეს არ ითამაშებს მისთვის ნაცადი 4-4-2 ტაქტიკური სქემით და გუნდს 3-5-2 ან 5-3-2 თარგზე გააწყობს. ამათგან ერთ-ერთი ყოფილა სწორედ ის ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც საქართველოს ტრაბზონში სათამაშოდ გამოადგება.

თავის მხრივ კი მოლდოვა 4 სექტემბერს სლოვაკეთში სათამაშოდ ემზადება და მწვრთნელ ვიქტორ პასულკოსთვისაც საინტერესოა შეგირდების ამჟამინდელი მზადყოფნა. საქართველოსი არ იყოს, მოლდოვაც თითქმის უძლიერესი შემადგენლობითაა სადღეისო მატჩისთვის შეკრებილი. თუმც ჩვენებს არველაძე, ასათიანი, კვირკველია და ხიზანეიშვილი აკლიათ, მოლდოვა კი ოდენ ცენტრფორვარდ დადუს არყოფნას უჩივის. ის მოსკოვის ცესკამ არ გაუშვა ნაკრებში, „რეინჯერსთან“ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მატჩისთვის აქ უკეთ მოემზადებიო.

აი, მოკლედ ასეთია მოლდოვური ამბები. კიშინიოვში ტემპერატურა ისეთივეა, როგორიც თბილისში, ოდნავ გრილა და ასეთივე ამინდს გვპირდებიან ტირასპოლშიც.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები კი, რომელიც ეროვნული გუნდის სიახლოვეს, სასტუმრო „კოსმოსში“ დაბინავდა, დღესვე ოთხ საათზე კიშინიოვის „რესპუბლიკურზე“ ითამაშებს. გვეეჭვება, ამ თამაშს ცაიტნოტის გამო დავესწროთ. აქედან ტირასპოლამდე საათის გზაა, იქაც საბაჟო კონტროლი და...

### ინგლისი

კონფერენსი. II ტური

ბარტონი 0:0 ლეი
კონვი 1:1 გრეივსენდი
ძროული 1:1 ჰერეფორდი
ფარნბორო 0:0 ბარნეტი
ფორესტი 1:4 დაგ ენდ რედი
ჰალიფაქსი 2:1 სკარბორო
მორიკომბი 1:2 აკრინგტონი
ნორთვიჩი 2:2 კარლაილი
სტივენეიჯი 0:1 ალდერშოტი
უოკინგი 3:3 ექსეტერი
იორკი 2:0 ტემუორთი

### შოტლანდია

ლიგის თასი. I ეტაპი

ქუინი 1:2 ალბიონი
მორტონი 1:0 გრეტნა
ჰამილტონი 4:1 ეარი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. III ტური

ბრესტი 1:0 ნიორი
შატორუ 0:0 ნანსი
დიჟონი 1:0 ანჟე
გრენობლი 1:1 ამიენი
გენიონი 1:0 კრეტეი
ლავალი 2:1 ტრუა
ლე ავრი 0:0 კლერმონი
მონპელიე 0:1 ლორიანი
ლე მანი 0:0 რეიმსი

### ათენის ოლიმპიადა 2004

ოლიმპიური თამაშები

ს. კორეა 3:3 მალი
საბერძნეთი 2:3 მექსიკა
არგენტინა 1:0 ავსტრალია
სერბეთი 2:3 ტუნისი

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

# ჩვენი მეტოქეები

### თურქეთი



ლევენტ ბიჩაჩი

# გაიფაშფაშოთ გურჯებზე!

## თურქები ახალ ფაშას ტრაპიზონში გაეპრანჭებიან

**თურქეთ — საქართველოს** მატჩამდე, რომელიც 4 სექტემბერს ტრაპიზონში გაიმართება, ჩვენი ოსმალო მეზობლები ბოლო რეპეტიციას დღეს ქალაქ დენიზლიში ბელარუსებთან გაივლიან.

თურქთა მწვრთნელმა ამხანაგური შეხვედრისთვის 25 კაცი გამოიძახა, მათ შორის სამი დებიუტანტია: ერსენ მარტინი („დენიზლისფორი“), კურშატ დაიმუში („რიზესფორი“) და ადემ დურსუნი („ანკარაგიუჯუ“). ნაკრებში დააბრუნეს მუსტაფა „მაზი“ იზეტი, რომელსაც 2002 წლის აგვისტოში საქართველოსთან გამართული ამხანაგური მატჩის შემდეგ პირველად უხმეს. აღსანიშნავია, რომ 25-კაციან ნუსხაში მხოლოდ 5 ლეგიონერია. „ბარსელონადან“ მეკარე რუშთუ, „ინტერიდან“ ემრე ბელოზოღლუ, „სოსიედადიდან“ ნიჰათი, „შალკედან“ ჰამიტ ალტინტოპი და იზეტი „ბირმინგემიდან“.

გუშინ დენიზლიში ჩასულ გუნდს ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი, ლევენტ ბიჩაქჩი ჩაჰყვა და მატჩს ისიც დაესწრება. ბიჩაქჩიმ ერთი თვის წინ გამართულ არჩევნებში ჰალუკ ულუსოის აჯობა, რომლის პრეზიდენტობის დროსაც თურქეთის ნაკრები მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოსანი გახდა. ამ უდიდესი წარმატების მიუხედავად ულუსოის და მის ფავორიტ შენოლ გიუნეშს ლატვიასთან შარშანდელ საპლეი-ოფო მატჩში მარცხი არ აპატიეს. ჯერ გიუნეში წავიდა, ახლა კი მას არჩევნებში დამარცხებული ულუსოი მიჰყვა.

დენიზლიში ჩასულმა თურქთა მწვრთნელმა ერსუნ იანალმა მოკლედ მოჭრა: „უპირველესი მიზანია საქართველო, საბერძნეთზე კი მერე ვიფიქროთ“.

რა შეიძლება ითქვას თურქეთის ნაკრებზე? მათ მაისში აზიური ტურნე მოიწყვეს და ორი ამხანაგური შეხვედრა ავსტრალიასთანაც გამართეს. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ სტამბოლურ გაზეთ „ფანატიკში“ იანალმა დაიჩივლა, გიუნეში უფრო ადრე რომ მოეხსნათ, უკეთესი იქნებოდა, გაცილებით კარგად მოვემზადებოდითო.

ამჟამად იანალის გუნდის ბირთვი ადგილობრივი ფეხბურთელები არიან. შვიდი კაცი „ფენერბაჰჩედან“ ჰყავს, ხუთი კი „გალათასარაიდან“. „გალათასარაის“ მოთამაშეებიდან ყველა ცნობილი და მსოფლიოს ბრინჯაოსანია. ჰაკან შუქური, ჰასან შაში, ბიულენტ ქორქმაზი, ჰაკან უნსალი და ერგიუნ პენბე. ნაკლებად ცნობილნი არიან ფენერბაჰჩელი ფორვარდი თუნჯაი და „ტრაბზონსფორის“ მეგოლე გოკდენიზ კარადენიზი, რომელიც ალბათ მალე თურქთა მთავარი თავდამსხმელი გახდება. ლეგიონერებს რაც შეეხება, რუშთუს „ბარსელონას“ ძირითადში თამაში არ ელირსა, ემრესთვის და ნიჰათისთვის ჩემპიონატები ჯერ არ დაწყებულა, იზეტი ხელწამოსაკრავი ფეხბურთელი არაა, ხოლო ლევან კობიაშვილის თანაგუნდელი ჰამიტ ალტინტოპი „შალკეს“ ლიდერია.

ერსუნ იანალს ნაკრების გადახალისება ამ ორი წლის განმავლობაში მოუწევს, რადგან „ბრინჯაოსნები“ ძველებურად კარგად ვეღარ დაქრიან, თუმც როცა თურქეთი შინ თამაშობს, მათი ძლევა ძალიან ძნელია.

***მეკარეები:*** *რუშთუ რეჩბერი (ბარსელონა, ესპანეთი), ომერ ჩეტკიჩი (გენჩლერბირლიგი), ვოლკან დემირელი (ფენერბაჰჩე)*

***მცველები:*** *უმით ოზატი (ფენერბაჰჩე), ბიულენტ ქორქმაზი (გალათასარაი), ჰაკან უნსალი (გალათასარაი), კურშატ დაიმუში (რიზესფორი), სერვეტ ჩეტინი (ფენერბაჰჩე), ონდერ ტურაჯი (ფენებაჩე), ადემ დურსუნი (ანკარაგიუჯუ)*

***ნახევარმცველები:*** *გოკდენიზ კარადენიზი (ტრაბზონსფორი), იბრაჰიმ ტორამანი (ბეშიქთაში), სერკან ბალჩი (ფენერბაჰჩე), ჰასან შაში (გალათასარაი), ოკან ბურუქი (ბეშიქთაში), ემრე ბელოზოღლუ (ინტერი, იტალია), ერგიუნ პენბე (გალათასარაი), მაზი იზეტი (ბირმინგემი, ინგლისი)*

***თავდამსხმელები:*** *ნიჰათ კაჰვეჩი (სოსიედადი, ესპანეთი), ჰაკან შუქური (გალათასარაი), თუნჩაი სანლი (ფენერბაჰჩე), ფათიჰ ტეკე (ტრაბზონსფორი), ჰამიტ ალტინტოპი (შალკე, გერმანია), ერსენ მარტინი (დენიზლისფორი), სერჰატ აკინი (ფენერბაჰჩე)*

**რომან თურქია**

### უკრაინა

**დღეს** უკრაინის ნაკრები ნიუკასლში ინგლისს გაეჯიბრება ამხანაგურად.

უკრაინელთა თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა საამმატჩოდ ოცი ფეხბურთელი შეარჩია, რომელთაგან უმეტესობა დნიპროელია — 7. ექვსი ფეხბურთელი მიავლინა ნაკრებში კიევის „დინამომ“.

ჩვენი მომავალი მეტოქე ინგლისელებს „სენტ ჯეიმს პარკზე“ შეხვდება. ბლოხინის გუნდში ოდენ ოთხი ლეგიონერია — ანდრეი შევჩენკო, სერგეი რებროვი, სერგეი კორმილცევი და ანდრეი ვორონინი.

ეს ამხანაგური მატჩი უკრაინელთათვის ბოლოა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე. შეგახსენებთ, რომ ოლეგ ბლოხინის ხელში ნაკრებს ჯერ ერთხელაც არ მოუგია.

***მეკარეები:*** *ალექსანდრ შოვკოვსკი, ვიტალი რევა (ორივე დინამო);*

***მცველები:*** *ანდრეი ნესმაჩნი, სერგეი ფიოდოროვი (ორივე დინამო), ვლადიმირ იეზერსკი, ალექსანდრ რადჩენკო, ანდრეი რუსოლი, სერგეი მატიუხინი (ყველა დნიპრო);*

***ნახევარმცველები:*** *ოლეგ გუსევი, ანდრეი გუსინი (ორივე დინამო), სერგეი ნაზარენკო, რუსლან როტანი, ოლეგ შელაევი (სამივე დნიპრო), სერგეი ზაკარლიუკი (ილიჩევეცი), ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტარი), სერგეი კორმილცევი (ტორპედო, რუსეთი);*

***თავდამსხმელები:*** *ანდრეი შევჩენკო (მილანი, იტალია), სერგეი რებროვი (ვესტ ჰემი, ინგლისი), ანდრეი ვორონინი (ლევერკუზენი, გერმანია), ანდრეი ვორობეი (შახტარი)*

### დანია

**სანაკრებო ფანჯარას** დანიის ნაკრებიც არ აცდენს და დღეს პოზნანში პოლონეთის ნაკრებს ეთამაშება. ევროპის ჩემპიონატმოვლილი დანიელები პოლონეთში უძლიერესი შემადგენლობით ჩავიდნენ. მორტენ ოლსენის რჩეულთა შორის ერთადერთი ნიკოლაი სტოკჰოლმია, დანიის ჩემპიონატში რომ თამაშობს, დანარჩენები კი ლეგიონერები არიან.

***მეკარეები:*** *თომას სორენსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), სტეფან ანდერსენი (ჩარლტონი, ინგლისი);*

***მცველები:*** *კასპერ ბოგელუნდი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), თომას ჰელვეგი (ნორვიჩი, ინგლისი), ნიკლას იენსენი (დორტმუნდი, გერმანია), პერ კროლდრუპი (უდინეზე, იტალია), მარტინ ლაურსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), ბრაიან პრისკე (გენკი, ბელგია);*

***ნახევარმცველები:*** *თომას გრავესენი (ევერტონი, ინგლისი), კლაუს იენსენი (ფულემი, ინგლისი), კრისტიან პოულსენი (შალკე, გერმანია), ნიკოლაი სტოკჰოლმი (ოდენსე), იესპერ გრონკიაერი (ბირმინგემი, ინგლისი), მარტინ იორგენსენი (უდინეზე, იტალია), დენის რომედალი (ჩარლტონი, ინგლისი);*

***თავდამსხმელები:*** *იონ დალ ტომასონი (მილანი, იტალია), პეტერ მადსენი (ბოხუმი, გერმანია), კენეტ პერესი (ალკმაარი, ჰოლანდია)*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალაქის თავზე



REUTERS ბრაზილიიდან

კანონიერების სასახლის სახურავიდან ბრაზილიის დედაქალაქ ბრაზილიაში ბარე ორმოცი ადამიანი-ჩიტი აფრინდა და ქალაქს ლივლივით გადაუფრინა თავზე. საქმე გართობა არ ყოფილა. დელტაპლანისტთა ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ეტაპი მიმდინარეობდა.

# ამასაც უყვარს

ჯონ კერი ჯერ ვერ არის პრეზიდენტი, მაგრამ იმის თქმა შეუძლია, რომ ბეისბოლი ამჟამინდელ პრეზიდენტზე არანაკლებ უყვარს. კერი ახლა ორეგონშია, სადაც კალიფორნიიდან ჩაფრინდა და აეროპორტშივე მოხდენილად დაიჭირა წინასწარ გამზადებული ბურთი.



REUTERS ლონგ ბიჩიდან





REUTERS პორტ-ო-პრენსიდან

# სამშვიდობოდ

ომით და შიმშილით ტანჯულ ჰაიტის დედაქალაქ პორტ-ო-პრენსში ერთი კარგი ფეხბურთი გაიმართება მშვიდობის სახელით და საქველმოქმედოდ. ბრაზილიელები იქაურებს ეთამაშებიან „სილვიო კატორის" სტადიონზე. სტუმრებს რონალდო უკაპიტნებს, ვინც გაეროს მშვიდობის ელჩიც არის. პორტ-ო-პრენსის სამხატვრო კოლეჯის სტუდენტებს რონალდო და მომავალი მატჩი უკვე დაუხატავთ, სტადიონზე კი ბრაზილიელი ჯარისკაცები ხალისობენ, რომლებიც აქ სამშვიდობო მისიას ასრულებენ.



REUTERS სანტო დომინგოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge